



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგობილ ბუქ-
უბი სიფყვას, ფყილუბით და ჭბრბით ბუბ-
თის გაცნას ყულა უკადრისბბბაგ უსამაგლსია.

ბაბოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

პარასკევი, 29 აპრილი. 2022 წ. №54 (9392) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

ოპოზიცია ისე გაკობრდა, ხალხი აბუჩად იბდებს და დასცინის, სააკაშვილი კი საცოდავ პერსონად იქცა



იხ. 3 გვ.

გვუიღობა - სისოცხლის, განვითარების, აღორძინების საფუძველთა საფუძველი!

**საკაშვილი
რომ ყოფილიყო
ხელისუფლებაში,
ამ იქნებოდა რომ,
მოახდენდა
მეორე
მარტინლუთერ!**

**რეალობისთვის
თვალის
ბასწორება
ბიუჯეტის,
საკაშვილი!!!**

თავი
ჩაგობილი!

**დავით ზარდიაშვილი:
„ნაცები“ ④
საერთაშორისო
ომის პარტიის
ნაწილნი არიან,
მათი მიზანია უკრაინა იოგოს
უკანასკნელ ჯარისკაცებზე,
დაასუსტონ რუსეთი და ამით
ფინანსურად იხირონ...**

**სამხედრო საკონტრაქტო
სამსახურთან დაკავშირებით
საინფორმაციო
კამპანია მიმდინარეობს**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში მოქალაქეების მიღების შესახებ საინფორმაციო კამპანიას განაგრძობს. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში სამხედრო მოსამსახურეები მოქალაქეებთან პირისპირ შეხვედრებს მართავენ. გუშინ შეხვედრები გაიმართა ზუგდიდში, ფოთში, ახალციხეში, ფანაურსა და ყაზბეგში.

„მოქალაქეთა მხრიდან სამხედრო საქმით დაინტერესება დიდა, განსაკუთრებით ახალგაზრდები აქტიურობენ. მათ საკონტრაქტო სამსახურის პარალელურად, უმაღლეს სასწავ-

ახალგაზრდებო, ემსახურეთ საქუთარ თავს და ქვეყანას ღაცული იქნება!

ლებლებში შეღავათებთან დაკავშირებით შეკონდათ კითხვები. სამხედრო მოსამსახურეებმა მოქალაქეებს განუმარტეს, რომ ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს უწყება 50%-ან (არაუმეტეს 125 ლარი) სწავლის თანადაფინანსებას, მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის კი, სტიპენდიას - სემესტრულად 750 ლარი ოდენობით სთავაზობს. საუბარი შეეხო სამხედრო კარიერული განვითარების საკითხსაც.

სამხედროებმა აღნიშნეს, რომ თავდაცვის უწყებაში იქნება მოტივაციის ამაღლებისათვის საუკეთესო პირობები, უმჯობესდება განათლების შესაძლებლობები და ისვენება კარიერული წინსვლის სისტემა. ჯარისკაცებს ნატოს სტან-

დარტების პროფესიული და კარიერული განვითარების, ასევე უცხო ენების შესწავლისა და საზღვარგარეთ კურსების გადის შესაძლებლობა აქვთ. სამხედროების თქმით, თავდაცვის ძალები ორიენტირებულია ჯარისკაცი სამსახურში მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით მისი დასრულების შემდეგაც იყოს უფრო კონკურენტული. თავდაცვის ძალები მათ დამატებით პროფესიის არჩევის საშუალებასაც აძლევს და უწყებაში არსებულ და სამოქალაქო პროფესიულ სასწავლებლებში დამატებითი პროფესიით ამზადებს. მოქალაქეთა კითხვებით თავდაცვის ძალებში პროფესიით დასაქმების შესაძლებლობასაც შეეხებოდა. აღინიშნა, რომ 18-დან 40 წლის ჩათვლით მოქალაქეებს

თავდაცვის ძალებში დასაქმება საკუთარი პროფესიითაც შეუძლიათ. სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში რეგისტრაციის პროცედურები მაქსიმალურად გამარტივებულია.

რეგისტრაცია მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელია ონლაინ - Onlinebct.mod.gov.ge; ასევე, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში - თბილისი, გორი, კუთაისი, სენაკი, ბათუმი და თელავი, იუსტიციის სახლებსა და რეკრუტირების მობილურ მანქანაში. საკონტრაქტო სამხედრო სამსახურისა და თავდაცვის ძალებში პროფესიით დასაქმების შესახებ საინფორმაციო კამპანია ქვეყნის მასშტაბით ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება“...

**ენისკაცო
ამაბი,
როგელის
სისოცხლუბი
მეტია**

10

ბოლო დღეების უთავბეჭდავი შესვლარები

საძარბაველო ნატოში ინტეგრაციის პროცესი და რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გამონეგები იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილისა და სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ხავერ კოლომინას შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხები.

აღინიშნა ნატოს მნიშვნელოვანი როლი საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. ასევე, ყურადღება დაეთმო მადრიდის მომავალ სამიტს. შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ გამონეგებებსა და მძიმე ჰუმანიტარულ ვითარებას.

ხავერ კოლომინამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი აღიანისის მტკიცე მხარდაჭერა დაადასტურა. ყურადღება დაეთმო უკრაინაში განვითარებული მოვლენების შედეგად რეგიონში შექმნილ უსაფრთხოების გამონეგებს. პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველო სოლიდარობას უცხადებს უკრაინას, ემხარება ჰუმანიტარულად და მხარს უჭერს პოლიტიკურად, ასევე დიპლომატიურად, მათ შორის საერთაშორისო ფორმატებში.

პრემიერმა ხაზი გაუსვა საერთაშორისო თანამეგობრობის უმნიშვნელოვანეს როლსა და ქმედითი ნაბიჯების აუცილებლობას ომის რაც შეიძლება მალე დასრულებისთვის. შეხვედრაზე აგრეთვე ყურადღება გამახვილდა შავი ზღვის უსაფრთხოების მნიშვნელობაზე და აღინიშნა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის როლი ამ მიმართულებით.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ნატოს საერთაშორისო ოფისის პოლიტიკურ საქმეთა და უსაფრთხოების დივიზიდან სტეფენ ელგერშმა, საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი ალექსანდრე ვინიკოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაშა დარსალია და ნატოსთან საქართველოს წარმომადგენელი ვიქტორ დოლიძე ესწრებოდნენ.



სოციალური ქსელები ისევ თაღლითობითა სავსე!

საძარბაველო გენერალურმა პროკურატურამ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურთან ერთად ჩატარებული კომპლექსური გამოძიების შედეგად, დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ერთი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო, — ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა სოციალურ ქსელ facebook-ზე ყალბი გვერდი შექმნეს და პოტენციური დაზარალებულების მოტყუების მიზნით, თითქოსდა ევროპაში აკრედიტებული საბანკო დაწესებულების მიერ 5 000-დან 1 000 000 ევრომდე ოდენობით შელავათიანი კრედიტის გაცემასთან დაკავშირებით ინფორმაცია განათავსეს.

„დანაშაულში ჩართული პირების მითითებით, შეღავათიანი სესხის მიღებით დაინტერესებული საქართველოს მოქალაქეების თანხები, სასესხო განაცხადის რეგისტრაციის, კრედიტის სადაზღვევო და სხვა გამოგონილი მიზნებისთვის, მოტყუებით ირიცხებოდა და მანაშავებთან დაკავშირებული პირების საბანკო ანგარიშებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ.

მართლსაწინააღმდეგო ქმედებებში ჩართული პირების გამოვლენის მიზნით, გატარებული ოპერატიული-სამძებრო და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, დანაშაულებრივი ჯგუფის ერთი წევრი ბრალდებული სახით იქნა დაკავებული. მას სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მოეწიეს.

საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა პირების გამოვლენის და მხილების მიზნით.

პროკურატურა საზოგადოებას მოგონოვებს სიფრთხილით მოეკიდონ სოციალურ ქსელებში განთავსებულ ინფორმაციებს შეღავათიანი კრედიტის ან სხვა სახის სარგებლის მიღებასთან დაკავშირებით და მსგავსი საეჭვო შეთავაზებების შემთხვევაში მომართონ საქართველოს პროკურატურას, — აღნიშნულია ავრცელებულ ინფორმაციაში.

ამ ფარული, ფალსიფიცირებული ჩანაწერების გაშვებების გამოაჩნდა ანგარიშები იმის დაწყება!

მე არ ვთვლი, რომ პრემიერ-მინისტრმა კომენტარი უნდა გააკეთოს რაღაც გაუგებარ ჩანაწერებზე. ჩემთვის წარმოდგენილია ასეთ საუბრებსა და ჩანაწერებზე სპეკულირება და მით უმეტეს სერიოზული კომენტარის გაკეთება, — ასე გამოეხმაურა ირაკლი ლარიაშვილი გავერცელებულ ჩანაწერს, რომელზეც თითქოსდა ბიძინა ივანიშვილისა და ვლადიმერ ევტუშენკოვის საუბარია ასახული. პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ მსგავსი ჩანაწერების გავერცელების მიზანი საქართველოში ომის დაწყებაა.

„რა თქმა უნდა, ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ ფარული, ფალსიფიცირებული ჩანაწერების გამავრცელებლების ამოცანა იყო და ჯერ კიდევ არის საქართველოში ომის დაწყება. არიან რა გამანარებული და სასონარკვეთილები, ცდილობენ მსგავსი სიყალბით საზოგადოების, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების შეცდომაში შეყვანას. მე მეტს არაფერს ვიტყვი. ეს ჩანაწერი არაფრისმთქმელია. საერთოდ, მსგავსი შინაარსის ჩანაწერებზე არ გააკეთებ კომენტარს, — განაცხადა ლარიაშვილმა.

საქართველოს ხელისუფლება არ დაუშვებს არც ერთი სანქცირებული იურიდიული თუ ფიზიკური პირის არაღიარებულ უკანონო საქმიანობას!

— ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა მედიასთან განაცხადა. მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით ყოველგვარი სპეკულაციები უნდა დასრულდეს.

„ჩვენ არცერთ იურიდიულ და ფიზიკურ პირს არ მივცემთ საშუალებას, რომ გამოიყენოს ჩვენი ტერიტორია სანქციების გვერდის ავლით. ეს არის ჩვენი პრინციპული პოზიცია, რომელიც არ გადაინდობა. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენ პარტნიორებთან და ვინდა რომ ამ თემაზე ყოველგვარი სპეკულაცია დასრულდეს“.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა უმაღლესი შეფასება მისცეს საქართველოში უკრაინულენოვანი სექტორის განვითარებას

საძარბაველო პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ლარიაშვილის გადამწყვეტილებით გრუშევსკის სახელობის თბილისის 41-ე საჯარო სკოლაში უკრაინულენოვანი სექტორის გახსნას საერთაშორისო ორგანიზაციების — UNICEF-ის, ეუთოსა და საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისიის (UNHCR) წარმომადგენლებმა უმაღლესი შეფასება მისცეს და უკრაინელი მოსწავლეების მხარდაჭერისთვის საქართველოს მთავრობას მიადლონა გადაუხადეს. ინფორმაციას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ავრცელებს.

ინტელენოვანი სექტორის დაფუძნება ძალიან მნიშვნელოვანია. მისი თქმით, მინისტრ მიხეილ ჩხენკელის ხელმძღვანელობით, სამინისტრომ უკრაინელი მოსწავლეებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა უმოკლეს დროში უზრუნველყო. სწორედ ამ ძალისხმევის დამსახურებაა, რომ დღეს უკრაინელი ბავშვები ზოგად განათლებას იმავე უკრაინულენოვან მიხედვით იღებენ, რომლითაც ისინი უკრაინის სკოლებში სწავლობდნენ.

უკრაინულ სექტორში სასწავლო პროცესის მიმდინარეობა მიხედვით ჩხენკელმა ასევე პირადად გააცნო საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისიის წევრებს.



უნეების ცნობით, საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა დასან ხალილმა, რომელსაც უკრაინულ სექტორში განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა უმასპინძლა, ტვიტერის პირად გვერდზე უკრაინელ ბავშვებთან ვიზიტის ფოტოები გამოაქვეყნა და მინისტრს უკრაინული სექტორის წარმატებით დაფუძნება მიულოცა.

როგორც ხალილმა მედიისთვის კომენტარში განაცხადა, საქართველოში უკრაინული კომისიის (UNHCR) წარმომადგენლობის ხელმძღვანელ კემლინ ფურლის. მინისტრისგან მან პირადად მიიღო ინფორმაცია მთელი საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სკოლაში უკრაინელი ბავშვების ჩარიცხვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით.

სოციალურად დაუსველი ბავშვების დახმარება გეგმილია

საქართველოს წარმომადგენლობა ტვიტერის ოფიციალური გვერდის მეშვეობით გამოეხმაურა პროცესს: „ახლა უკრაინელი ბავშვებს მთელი საქართველოს მასშტაბით აქვთ სკოლაში განათლების მიღების შესაძლებლობა. UNHCR ულოცავს სამინისტროს თბილისის 41-ე საჯარო სკოლაში უკრაინული სექტორის დაფუძნებას.“

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თბილისის 41-ე საჯარო სკოლაში უმაღლესი 2 კვირაში დააფუძნა უკრაინულენოვანი სექტორი, სადაც უკრაინელი მოსწავლეებს პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით მშობლიურ ენაზე აქვთ ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა. ამ ეტაპზე უკრაინულენოვანი სექტორზე 211 მოზარდი სწავლობს. საქართველოს მთავრობის გადამწყვეტილებით, უკრაინელი მოსწავლეები, საქართველოს სკოლებში გამარტივებული წესით ირიცხებიან. ამ დროისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლაში ჯამში 650-ზე მეტი უკრაინელი მოსწავლე იღებს განათლებას.

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა, ზურაბ აზარასვილმა განაცხადა. „ეს არის სოციალურად დაუცველი ბავშვების 200-ლარიანი დახმარების პროექტი, რომელიც ეტაპობრივად გაიზრდება და დღევანდელი 100 ლარი მომავალი წლის ამ დროისთვის უკვე გაორმაგებული იქნება. ეს ზრდა ორ ეტაპად დაიყოფა, მიმდინარე წლის ივნისიდან 50 ლარით, ხოლო 2023 წლის იანვრიდან კიდევ 50 ლარით გაიზრდება დახმარება. წინა წელს პრემიერის გადამწყვეტილებით იყო პირველი ზრდა, როცა 2021 წლის ივნისიდან 50-ლარიანი დახმარება, რომელიც სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი, 100 ლარი გახდა. ვფიქრობთ, რომ 200-ლარიანი დახმარება სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის არის ის მინიმუმი, რომ სოციალურად დაუცველი ბავშვები უზრუნველყოფილი იყვნენ ღირსეული კვებით, საცხოვრებელი პირობებით და საერთო ჯამში, ეს არის ის მინიმუმ 500 მილიონი ლარი, რაც კონკრეტულად მიემართება სოციალურად უცველი ბავშვების დასახმარებლად.“



იმით ვართ, რომ სამართლიანობას ვი-
ცავთ.

– საქართველოს შემთხვევაში, 3 მილიონ-
ნახევარ ადამიანზე საუბარი და არა უკრაინ-
ის 42 მილიონზე, ეს 3 მილიონ ნახევარზე პი-
რობითია, რადგან მათში ძალიან ბევრი ხანში
შესულია, ახალგაზრდები უცხოეთში არიან
და ამ 3 მილიონნახევარზეც ქართველების
პროცენტული მაჩვენებელი არაა მაღალი, სხვა



დავით ზარდიაშვილი:

„ნაცები“ საერთაშორისო ოპიის პარტიის ნაწილნი არიან,

– საქართველოს მხრიდან მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა და რუსეთ-
თან ომში ჩართვა ანტიკონსტიტუციური საქმიანობა იქნება, რადგან ჩვენი
კონსტიტუცია თავდაპირველი ომის ბარჯა პრაქტიკა სხვა მოქმედებას. ჩვენი
ხელისუფლებას ეს რომ გაეკეთებინა, სახელმწიფო დასჯილი იქნებოდა,
– აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი.

– შალვა პაპუაშვილი კივე იყო „ნა-
ციონალებმა“ რა არ გააკეთეს ვითარების ას-
ამლვერებად, მათ შორის, ერთი დღით ადრე გა-
იპარნენ პრეზიდენტოვანი მარგველაშვილ-
თან ერთად და უკრაინაში ჩასწრეს „ქართუ-
ლი ოცნების“ დელეგაციას, მაგრამ საბოლოო-
ოდ თავად აღმოჩნდნენ სასაცილო მდგომარე-
ობაში. ეს ნიშნავს, რომ „ნაცები“ შეიძლება უკ-
რაინაშიც გაიშვიფრონ, რომ ბუჩის ტრაგედია-
საც სათავისოდ იყენებენ?

– ის მიზანი, რომ საქართველოს პარ-
ლამენტს გამოეხატა სოლიდარობა უკრა-
ინის მიმართ შესრულებულია, მაგრამ მე არ
ვთვლი, რომ ამით „ნაცები“ დამარცხდნენ,
მათ საკმაოდ მყარი პოზიცია უკავიათ უკ-
რაინაშიც. საქართველოშიც ახერხებენ იმ-
ას, რომ მუდმივად დაძაბულობას ქმნიან,
ომის რიტორიკას აგრძელებენ, ისევე უტყვენ
საქართველოს მთავრობას, ისევე თესავენ
შფოთს, არეულობას, სიძულვილს. ისინი ამ-
ით არ გაჩერდებიან. უკრაინაში ცალკე დე-
ლეგაციით რომ წავიდნენ, ამით ხაზი გა-
უსვენს განხეთქილებას, რაც საქართველოში
არსებობს და კიდევ იმ პოზიციას, რომ ის-
ინი კვლავაც რჩებიან საქართველოს მიერ
რადიკალური ზომების გატარების მომხრე-
ებად. საქართველოს მხრიდან მკვეთრი ნა-
ბიჯების გადადგმა და ომში ჩართვა ანტი-
კონსტიტუციური, საქციელი იქნებოდა,
რადგან ჩვენი კონსტიტუცია თავდაცვითი
ომის გარდა კრძალავს სხვა მოქმედებებს.
თუ საქართველოს რომელიმე ხელისუფლე-
ბა ამას გააკეთებს, ეს კონსტიტუციის ძა-
ლიან უხეივ დარღვევა იქნება, რომელიც
ახსებლენ იყო ლაღატს უტოლდება. გასაგე-
ბია, „ნაცები“ რა პოზიციაზეც დგანან, სამ-
წუხაროდ, მათ პოზიციას ბევრი გამზირ-
ებელი და დამცველი მყავს, ეს ფეისბუკზეც
შეგიძლიათ ნახოთ, ისეთი საშინელებებიც
ინერება, რომ „ყველა რუსი არ არის ღირსი,
ცოცხალი იყოს, ყველა რუსი უნდა განად-
გურდეს და ამ საქმეში საქართველოც უნდა
მონაწილეობდეს“..

– რუსეთი თუ უნდა განადგურდეს, რუ-
სეთს გაანადგურებს ისევე თავისი პოლიტიკა
და თავისი პუტინი.

– კი ბატონო, მაგრამ ჩვენი მიზანი არ
უნდა იყოს რუსის განადგურება. როგორ
შეიძლება, რომელიმე ხალხის განადგურება
გვიხაროდეს, ვინც გინდა იყოს იგი, მიუხ-
ედავად იმისა, რომ რუსეთს არაერთი
მტრობა აქვს ჩვენს მიმართ ჩადენილი. ჩვენი
მიზანია საკუთარი თავის დაცვა. საქართვე-
ლოს მიზანი არ არის ვინმეს მტრობა, ეს არ
არის ჩვენი სჯულის წესი, ჩვენ აუცილებ-
ლად ვიომებთ, მაგრამ მხოლოდ იმ შემ-
თხვევაში, თუ სხვა გზა არ გვაქვს, თუ ეს
არის გარდაუვალი აუცილებლობა, როდეს-
აც ჩვენზე თავდასხმა ხდება და პასუხის-
მგებელი ვართ უფლის წინაშე, ერთმანე-
თის წინაშე, წარსულის, აწმყოსა და მომავ-
ლის წინაშე. საქართველოს ღირსება უნდა
დავიცვაოთ, მაგრამ ვინმეს რომ თავს დავეს-
ხათ და ომში ჩავებათ, ეს არასწორი იქნე-
ბა. უკრაინისადმი სოლიდარული სწორედ



ეროვნების ხალხი შეასრულებს თუ არა მეს-
თე კოლონის როლს, ესეც არავინ იცის. სხვა-
თა შორის, უკრაინის ომისგან გამონეველი
სტრესის პირველმა ტალღამ საქართველოშიც
გადაიარა და ისინიც, ვინც ღარიბაშვილისგან
ომში ჩართვას ითხოვდნენ, დარწმუნდნენ,
რომ რთული საქართველოს დაცვა ამდენი
შიდა თუ გარე მოლაღატის ფონზე.

– საქართველოს ხელისუფლება შეძლე-
ბისდაგვარად ყველაფერს აკეთებს, რომ
რუსეთისგან მომდინარე საფრთხე აგვაცი-
ლოს. ამას რომ დაარქვა კოლაბორაციონ-
იზმი ან ლაჩრობა, ეს ამაზრზენია. უწინ-
არესი მოვალეობა ჩვენი ხელისუფლების
ის არის, ქვეყანაში სტაბილურობა შეინ-
არჩუნოს, რომ ამ უთანასწორო ომში ქვე-
ყანა არ ჩაებას. ღმერთმა დაგვიფაროს,
მაგრამ საქართველოში ეს ომი მაქსიმუმ
რამდენიმე დღე გაგრძელდება, მეტი არა.
ეს თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება,
რომ ჩვენი ინიციატივით რაიმე პროვოკა-
ცია დაეწევა, რათა ამ ომში როგორმე
ჩაგვიტორონ.

**მათი მიზანია
უკრაინა იომოს
უკანასკნელ
ჯარისკაცამდე,
დაასუსტონ
რუსეთი
და ამით
ფინანსურად
იხირონ...**



– როცა უკრაინელებმა რუსეთისთვის გა-
წიულ დახმარებაში დაგვადანაშაულებს კონ-
ტრაბანდული ტვირთების გადატანის საქმე-
ში, გაინდა ექვი, რომ ამ თემის შემოგდებით
რუსული სპეცსამსახურები ხომ არ ცდილობ-
დნენ ქართველების და უკრაინელების წაკი-
დებას? მათი ხელი ურევია ამ საქმეში, რაც „ნა-
ციების“ ინტერესებსაც დაემთხვა?

– არა მგონია, აქ რუსეთის ხელი ერი-
ოს. სავარაუდოდ, ეს იყო უკრაინის ინტე-
რესში, ეს იყო არაშორსმჭვრეტელი ას-
სნა, რომ საქართველო ჩართულიყო ამ ომ-
ში და ამას დაემთხვა „ნაციების“ პირდაპირი
ინტერესი საქართველოში პოლიტიკური
არეულობის შესაქმნელად.

– ნეიტრალურმა ფინეთმა, შვედეთმა ზუს-
ტად ასლა გამოთქვეს ნატოში განევრების
სურვილი, რითაც კიდევ უფრო გააღიზიანეს
პუტინი. ეს სიმბიზის ცენტრი საქართველოსაც
უნდა გაეზიანებინა? პუტინის გაღიზიანებ-
ის მისია ჩვენც უნდა გვეტვირთა, თუკი ომში
შევიხიდეოდათ უკრაინას? ეს დასავლეთში
გარკვეული ძალების ინტერესშიც იყო?

– დასავლეთში არიან ამის მოსურნე ძა-
ლები, ამას არც მალავენ, საქართველოში
ამერიკის ყოფილი ელჩი იან კელი იან პირდა-
პირ მოგვიწოდებს იმავსეკენ, რომ აუცილ-
ებელია უკრაინის მოვლენებში მონაწილე-
ობის მიღება რადიკალური ფორმით. ეს-
კალაცია, რუსეთის მიმართ ღია მტრული
ნაბიჯების გადადგმა ამ ვითარებაში ლო-
გიკურად მიგვიყვანს საქართველოსა და
რუსეთს შორის მეორე ფრონტის გახსნამ-
დე, ეს კატასტროფა იქნებოდა საქართვე-
ლოსთვის.

– ჩვენ რომ აველოდით უკრაინის
მოთხოვნას, სანქციები დაგვეწესებინა რუსე-
თისთვის, მოხალისეების დესანტი გამაღიზი-
ანებლად გაგვეზიარებინა და უკრაინაში გა-
დაგვესხა, ეს იქნებოდა იმის საწინდარი, რომ
უკრაინა შეელოდა ადგილზე, ლორთქიფა-
ნიძეს და უკრაინის ხელისუფლებაში მოკალა-
თებულ „ნაციების“ მთელ კოპორტას?

– არა, რა თქმა უნდა, ეს არ იქნებოდა
ამის გარანტია, ეს ნაკლებად არის უკრაინის
ნებაზე დამოკიდებული, ამას ომის პარტია
მართავს, რომელიც საერთაშორისო პოლი-
ტიკური ძალაა, მათი ჩარევის გარეშე ასეთი
რამ არ მოხდებოდა, არა მგონია, სააკაშვი-
ლის, ადგილზელის, ლორთქიფანიძის დანი-
ნაურება ზეღუნსკიმ საკუთარი ნებით ისურ-
ვა. ომის პარტიის მიზანია პროცესების კი-
დეუ უფრო მეტი რადიკალიზაცია, ჩვენი „ნა-
ციები“ ამ საერთაშორისო „ომის პარტიის“
ნაწილნი არიან. მათი პირდაპირი ინტერე-
სია, უკრაინა იომოს უკანასკნელ ჯარის-
კაცამდე, მათი პრიორიტეტია რუსეთის და-
სუსტება და ამით დიდი ხეირის ნახვა, ანუ
გვულისხმობს მატერიალურ ინტერესს. სხვა-
თა შორის, ირაკლი კობახიძე უკრაინა დასე-
ნებს ე.წ. ომის პარტიას, მან შემოიტანა ეს
ტერმინი და ის ამაში მხოლოდ „ნაცმოძრა-
ობას“ არ გულისხმობს, ის გულისხმობს
მთელ უზარმაზარ კონგლომერატს, რომლის
მიზანაცაა ამ ომის საშუალებით მაქსიმალუ-
რი სარგებლის მიღება. მეორე მხრივ, არიან
კეთილგონივრული ძალები ევროპაშიც, შე-
ერთებულ შტატებშიც.

– როგორც ჩანს, მინც გაქვთ იმედი, რომ
მოხერხდება ახალი ურთიერთობების დაწყე-
ბა, ამჯერად „ნაციების“ გარეშე?

– ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებ-
ში პროგრესი არის, რადგან დემარშის
მდგომარეობიდან გამოვიდევით. მდგომარ-
ეობა გამოსწორდება, თუკი უკრაინა გა-
დაწყვეტს ელჩი დაპარუნოს საქართველო-
ში და ასეთ დემარშებს, დაუსაბუთებელ
ბრალდებებს მომავალში აღარ მოაწყობს.
ომში რომ არ ყოფილიყო უკრაინა, ამას შე-
იძლება პოლიტიკური ურთიერთობების
განწყვეტა მოჰყოლოდა, რადგან ეს არის
მტრული განცხადებები, რაც საქართველოს
მიმართ გააკეთეს...

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

გიორგი ბარამიძე კასიანოვის გინებას აღასტურებს!..



მისი თქმით, ამით „ქართულმა ოცნებამ“ დაადასტურა,
რომ ხელისუფლება მათ უსმენს და აღნიშნა, რომ ამ ჩა-
ნაწერის გამოქვეყნების მიზანი ბიძინა ივანიშვილისა და
ევგენი ევტუშენკოვის სავარაუდო საუბრის გადაფარ-

გიორგი ბარამიძე ადასტურებს,
რომ უკრაინის ელჩის მოვალეობის შემ-
სრულებლის მისამართით შეურაცხმყო-
ფელი განცხადება მართლაც გააკეთა.
შესაბამისი განცხადება „ნაციონალ-
ური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერ-
მა facebook-ზე გამოაქვეყნა.

„კი, ვადასტურებ, ეს მაქვს ნათქვა-
მი, ომის პირველ დღეებში, კივე იყო ყოფ-
ნისას, ჩვენი პარტიის ერთ-ერთ ჩატში.
მერე?“, – წერს ბარამიძე.

– როცა უკრაინელებმა რუსეთისთვის გა-
წიულ დახმარებაში დაგვადანაშაულებს კონ-
ტრაბანდული ტვირთების გადატანის საქმე-
ში, გაინდა ექვი, რომ ამ თემის შემოგდებით
რუსული სპეცსამსახურები ხომ არ ცდილობ-
დნენ ქართველების და უკრაინელების წაკი-
დებას? მათი ხელი ურევია ამ საქმეში, რაც „ნა-
ციების“ ინტერესებსაც დაემთხვა?

ვის მცდელობაა. POSTV ანონიმურ წყაროზე დაყრდნო-
ბით ავრცელებს აუდიოჩანაწერს, რომელშიც „ნაცმოძ-
რაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე ფიგურ-
ირებს. POSTV-ის ინფორმაციით,
სკანდალური აუდიოჩანაწერში ბარა-
მიძე საქართველოში უკრაინის საქმე-
თა დროებით რწმუნებულს ანდრეი კა-
სიანოვის მისამართით შეურაცხმყო-
ფელ გამოთქმას იყენებს.

„ადმინისტრაციის ხალხს და არახამიას
ვერ ვუკავშირდები თორემ, ჩერეჩ-ჩერეჩ
საგარეოს ხალხთან მაქვს ურთიერთობა,
ახლა მივწერე და გაგიფინე მაგ კასიან-
ოვს, მაგ ელჩის მოადგილეს დედას მო**ენ“,
– ისმის აუდიოჩანაწერში.





თამარ ჩიკობავიძე

მხოლოდ რეალობისთვის თვალის გახსნობა გიშველის, სააკაშვილო!!



„ტაბულას“ ღაფუშენიანი თამარ ჩიკობავიძე საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს ღია წერილით მიმართავს.

„გამბრჯობა, მიშა. ვიცი, ცუდად ხარ და ვწუხვარ, რომ ასეა. იცი, შენდამი ნდობა მთლიანად გამჭრალად მიქვს და არ მჯერა, რომ კვდება, როგორც არც ის მჯეროდა, რომ შიმშილობდი და როგორც ის არ მჯეროდა, რომ ჩამოხვიდოდი (არ მეგონა, რომ ციხეში წასასვლელად მზად ხარ) – შენ კარგად იცი, რომ შენდამი ნდობის საფუძველი მე არ გამაჩნია. მაგრამ ისიც ვიცი, რომ შეიძლება, ვცდებოდე და ერთი პროცენტი საფრთხე თუ არსებობს, რომ მართლა კვდება, მინდა, რაღაცით გიშველო. ერთადერთი, რაც შენ გიშველის, არის რეალობისთვის თვალის გახსნობა. შენ გადარჩები, თუ თვალს გაუსწორებ იმ რეალობას, რომ ციხეში შეიძლება, კიდევ დიდხანს იყო. შენ გადარჩები, თუ თვალს გაუსწორებ იმ რეალობას, რომ შენი თავისუფლების მოთხოვნით ხალხი ქუჩაში არ დგება და შენ ვერ იქნები ამ ქვეყანაში წინააღმდეგობის მოძრაობის ცენტრალური ფიგურა. ასევე, თვალი უნდა გაუსწორო იმ რეალობას, რომ ბიძინას ორთული მართლა გამოადგა – ის მართლა ჯონსის დაბრუნების შიშშია აგებული, სხვა იარაღი მას არ გააჩნია და წინააღმდეგობის მოძრაობის ცენტრალურ სახედ შენი ყოფნა მას აწყობს – ფულს ხარჯავს ამაში. ასევე, თვალი უნდა გაუსწორო იმ რეალობას, რომ საქართველოში 30 პროცენტის მხარდაჭერა არაფერს ნიშნავს, თუ კრეატიული უმცირესობა არ გიჭერს მხარს. 2003 წელს გამოვიდა სწორედ იმიტომ, რომ კრეატიული უმცირესობა შენს მხარეს იყო – 2008 წლიდან წელ-წელა, ხოლო ივანიშვილის წარმატების შემდეგ მთლიანად – ამ ხალხს და მათთვის მისაღებ შინაარსს შენ ზურგი აქციე, ხოლო ის ხალხი, ვინც მხარს გიჭერს და მიშა მიშას გაიძახის, იდენობისგან და შინაარსისგან დატოვებულია, შენს კერძოება აგებულებს და ისინი ვერ გახდებიან ცვლილებების მოტორი, ზომები არიან.“

ნაწილობრივ, მაგრამ მაინც შეასრულა და სოციალური ჯგუფების მონანიღობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გააფართოვა, გაიზარდა თაობა, რომელიც ქრთამის გარეშე მოხვდა უმაღლეს სასწავლებლებში. ამას ინტერნეტ რეგულაცია დაერთო – ეს ხალხი თანამედროვე, ჩემნაირი ხალხია – მე ეს ხალხი ვნახე, გაცივანი და ველაპარაკები – გაუგებარია, ამ ხალხისთვის ჯვარს რატომ უქნევ, უცხოელებს რატომ ერჩი, უმცირესობებს, რომლებსაც ორკები ურტყამენ – მხარს ცალსახად რატომ არ უჭერ. ვერ გაიგეს, რა საპასუხო თავგანწირვას სთხოვ, რა საჯიშე ბიჭებზე ელაპარაკები, სხვა ენაზე საუბრობენ, ან იმეგობრ, პარი პოტერზე და მარველზე გაიზარდნენ – შენ მათი ენა არ გესმის. არ ესმით დავით აღმაშენებელს რომ ედრები წარამარა, ეს რას ნიშნავს – გაგიჟდი, მანია გრანდიოზა გჭირს, თუ რა ხდება. ადრეც გეუბნებოდი და ახლაც გიმეორებ, რომ თუ პოლიტიკური წარმატება გინდა, ეს ხალხი უნდა გაიცნო, რომ გაიცნობ მიხედვით, რომ ამ ხალხისთვის კერპები გაუგებარია და ნარცსულს აკუთვნებს შენს მონოლოგებს, სადაც მათ ამადლი, რომ ქვეყანა ააშენე, მათთვის თავი გაწირე, დავით აღმაშენებელი ხარ და ისინი არ გიფასებენ – ვერ ხვდებიან, რას ითხოვ. იცინა, რომ ისტორიულ გმირებს ისტორია აფასებს და არა თვითონ, არც იმ გმირებზე წაუკითხავთ, რომლებიც საპასუხო თავგანწირვას ითხოვენ ასეთი დაფინებით. შენ ხომ ამ ხალხთან რეალურად, კონტაქტი 2004 წლის შემდეგ აღარ გქონია? – ჯერ ძალაუფლების ბაბლმა მოგწვევია, შემდეგ უკვე საკუთარმა ილუზიებმა და ემიგრაციამ.

ასევე თვალი უნდა გაუსწორო დასავლეთის პოზიციას. ჩვენ ვცადეთ დახმარება, როგორ და რაც შეგვეძლო. როგორი მიუღებელი პოლიტიკური და მორალური არჩევანებიც არ უნდა გაგვეკეთებინა, ბუნებრივია, წარსული არსად წასულა, გული შეგტკივა, რომ ცუდად ხარ და ვიცი, ციხეში ცუდად იქნები – ამისთვის მზად არ ყოფილხარ. მიუხედავად იმისა, რომ თავი ღმერთად გამოაცხადე, ჩვენ მაინც გვაქვს განცდა, რომ ნნგძკუ თემდ წტუ წა გთ , ამიტომ ჩვენი ხელიდან რაც გასაკეთებელია, ვცდილობთ – მაგრამ ვითარება ძალიან რთულია – სამწუხაროდ, შენ უზარმაზარი რეპუტაციული ზიანი გაქვს მიღებული. ამასთან, შენს მისწრაფებებს ერთბიროვნული მმართველობისკენ, რეგულაციურპრელიგიურ პოპულარიზმს, ზოგადად – შენს საქციელს – საფრთხედ მიიჩნევენ, ისინი არ გენდობიან და თვლიან, რომ ქართულ პოლიტიკას წამლავ შენი დაუოკებელი მიდრეკილებით ერთბიროვნულობისკენ.

ასევე თვალი უნდა გაუსწორო (და ჩემი აზრით, იამაყო) იმ ფაქტს, რომ ვარდების რეგულაციამ თავისი ფუნქცია მართალია,

დასავლეთის პოზიციას. ჩვენ ვცადეთ დახმარება, როგორ და რაც შეგვეძლო. როგორი მიუღებელი პოლიტიკური და მორალური არჩევანებიც არ უნდა გაგვეკეთებინა, ბუნებრივია, წარსული არსად წასულა, გული შეგტკივა, რომ ცუდად ხარ და ვიცი, ციხეში ცუდად იქნები – ამისთვის მზად არ ყოფილხარ. მიუხედავად იმისა, რომ თავი ღმერთად გამო-

აქცხადე, ჩვენ მაინც გვაქვს განცდა, რომ ნნგძკუ თემდ წტუ წა გთ , ამიტომ ჩვენი ხელიდან რაც გასაკეთებელია, ვცდილობთ – მაგრამ ვითარება ძალიან რთულია – სამწუხაროდ, შენ უზარმაზარი რეპუტაციული ზიანი გაქვს მიღებული. ამასთან, შენს მისწრაფებებს ერთბიროვნული მმართველობისკენ, რეგულაციურპრელიგიურ პოპულარიზმს, ზოგადად – შენს საქციელს – საფრთხედ მიიჩნევენ, ისინი არ გენდობიან და თვლიან, რომ ქართულ პოლიტიკას წამლავ შენი დაუოკებელი მიდრეკილებით ერთბიროვნულობისკენ.

რეჟიმის მიმართ, მხოლოდ ივანიშვილის რეჟიმს აძლიერებს. უფრო მეტი, ნებისმიერი მცდელობა, რომ შენი საქობის საპროტესტო მოძრაობის ცენტრალურ თემად იქცეს საპროტესტო მოძრაობის ძირს უთხრის და ფრაგმენტაციას იწვევს. ამ წერილს მე საჯაროდ დავდებ – არ ვიცი, შემოგიტანენ თუ არა. არ მგონია, შენს გარემოცვას აწყობდეს, ეს წერილი წაგაკითხოს, მაგრამ თუ რომელიმეს გული შეტკივა შენს კარგად ყოფნაზე, შენი რეალობასთან დაბრუნება უნდა სცადონ. შენი გარემოცვა სამწუხაროდ, გატყუებს. აქაც შენი პასუხისმგებლობა დიდია – ვინც სიმართლეს გეუბნებოდა, ის მოლაღატედ შერაცხე, დანარჩენები ამ გამოცდილებით ხელმძღვანელობენ და შენი კეთილგანწყობის შენარჩუნების სურვილით, მეტს გატყუებენ – ეს უარეს ქაობში გაფლობს და კიდევ უფრო გაშორებს რეალობას, რაც ჩემი აზრით, დამლუპველია.

შენი 2008 წლის შემდგომი პოლიტიკური არჩევანების დიდი ნაწილი და 2012 წლის შემდეგ, შენი არჩევანები თავიდან ბოლომდე მიუღებელია ჩემთვის (ამაზე ბევრი გვიჩხუბია და შენ კარგად იცი ყველაფერი – ბენდუქიძის ჩანწვიდან და ბაგრატი „ავაშენე“ მოყოლებული). მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ შენ ძალაუფლება ხელში ვერ ჩაიგდო „მაგრამ, მე შენგან განსხვავებით, პატივს ვცემ შენს მემკვიდრეობას და ნამდვილად არ მინდა, ამ მემკვიდრეობის შემოქმედს ასეთი ტრაგიკული აღსასრული დაუდგეს. ამიტომ ვწერ ამ ეპისტოლესაც და დაფინებით გირჩევ – კარგად რომ გახდეს, ამისთვის, ჯერ შენთვის მიუღებელ რეალობას თვალი უნდა გაუსწორო და მხოლოდ ამის შემდეგ მოიფიქრო, შეგწვეს თუ არა ძალი, ეს რეალობა შეცვალო. სხვანაირად კარგად ვერ გახდები და მე ეს ძალიან, ძალიან მანუსებს, მიუხედავად იმისა, რომ შენს არჩევანად ვთვლი ამგვარად საქმის წაყვანას. ღრმად მწამს, რომ ეს რეჟიმი შენ ამდენს ვერ გაგიბედავდა, შენ რომ წარსულიდან სწორი დასკვნები გამოგეტანა და რეალობის უარყოფით, თავის ღმერთად გამოცხადება არ გეცადა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ ამაში ვერ დაგარწმუნეთ. ახლა ვართ იქ, სადაც ვართ – ეგებ, ახლა დაგარწმუნო, რომ გასაღები რეალობისთვის თვალის გახსნობაშია. მოკლედ, არ ვიცი, ამ წერილს აზრი აქვს თუ არა, მაგრამ ვთლი, რომ ღირს, კიდევ ერთხელ ვცადო შენი რეალობასთან დაბრუნება – ეგებ, ახლა რაზე გამოვიფიცო...“

(სტილი ღაფუშენი. რაფ.)



ლევან ნიკოლეიშვილი: სააკაშვილი სიხის გარეთ, ავტომატურად ახალ ომს ნიშნავს რუსეთთან!..

„გაუპვიტ (ან გამოუპვიტ) სააკაშვილი ციხიდან“ – ეს ლოზუნგი უკვე დიდი ხანია გვესმის, ძირითადად კი, რა თქმა უნდა რადიკალური ოპოზიციისა და მათი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. ეს მოთხოვნა ცოტა შესუსტებულია ოპო-ტელევიზიებიდან და რადიკალების ლობისტი უცხოელებიდან-მიზეზი მარტივია, თუ ფულს არ გადაუხდის მათ ნაკლებად ანაღვლებს სააკაშვილი ციხეში იჯდება თუ ფსიქიატრიულში – ასე ეხმარება ექსპერტი ლევან ნიკოლეიშვილი მიხეილ სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლების მოთხოვნას.

„გაუპვიტ (ან გამოუპვიტ) სააკაშვილი ციხიდან“ – ეს ლოზუნგი უკვე დიდი ხანია გვესმის, ძირითადად კი, რა თქმა უნდა რადიკალური ოპოზიციისა და მათი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. ეს მოთხოვნა ცოტა შესუსტებულია ოპო-ტელევიზიებიდან და რადიკალური ლობისტი უცხოელებიდან-მიზეზი მარტივია, თუ ფულს არ გადაუხდის მათ ნაკლებად ანაღვლებს სააკაშვილი ციხეში იჯდება თუ ფსიქიატრიულში. ამ ბოლოს დროს ბელადის განთავისუფლების მოთხოვნა, რადიკალებმა კვლავ წამოიწიეს, ისევე ავადმყოფობის თუ ციხეში ვერ გაძლებს მიზეზით (სასამართლოს გადაწყვეტილებები ცხადია ნაკლებად აინტერესებთ!) მაგრამ ერთი სტრატეგიული შეცდომა კი დაუშვეს – სააკაშვილი ციხის გარეთ ავტომატურად ახალ ომს ნიშნავს რუსეთთან, და ეს არაერთხელ აღნიშნეს უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებმა. აი, იმ უკრაინელებმა, რომლებსაც ნაციონალებმა საქართველოს ხელისუფლების კრიტიკა შეუკვეთეს, მათ

დავავლება „წარმატებით“ შეასრულეს, მაგრამ იქვე მიაცოცეს – აი, სააკაშვილი და ნაციონალები, რომ იყვნენ ხელისუფლებაში რუსეთს მეორე ფრონტს გაუხსნიდნენო, მართალია, ქართული ქალაქები დაიბომბებოდა, დაინგრეოდა, ხალხი დაინოცებოდა, მაგრამ ჩვენ ძალიან წაგვადგებოდა...ასე თუ ისე, როგორც უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებიც ამბობენ, სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობა ომის პარტიკაა, და მათი ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში საქართველო დიდი ხანია უკვე ომში იქნებოდა ჩართული. მაგრამ, მთავარი და უმთავრესი ის გახლავთ, რომ სააკაშვილი ციხეში სასჯელს იხდის (ზოგსაც ელოდება!), სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, მათ შორის სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს ვერდიქტითა“, – წერს ნიკოლეიშვილი Facebook-ზე.

1922 წლის
7 ნოემბერი.
წითელი არმიის
„დიდი
ოქტომბრის
რაქოლუსიის“
5 წლისთავი.
წითელი მოადანი.

1922 - წელი, როგორც რუსეთისა და მისი მეზობლების ბედი განსაზღვრა



100 წლის წინათ, 1922 წელს, რუსეთი აღნიშნავდა მეხუთე წლისთავს 1917 წლის გადატრიალებიდან, რამაც ბოლშევიკები ხელისუფლებაში მოიყვანა, თუმცა წლის დასაწყისში რუსეთის მომავალი ჯერ ისევ ბუნდოვანი იყო. სწორედ 1922 წლის მთავარმა მოვლენებმა (საშინელმა შიმშილმა, იოსებ სტალინის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანად დანიშვნამ, რუსეთის ინტელექტუალური ელიტის დიდი ნაწილის ქვეყნიდან გაძევებამ და ა.შ.) განსაზღვრა რუსეთისა და მისი მეზობელი ქვეყნების მომავალი - ჩაგვრისა და დიქტატორის არაერთი ათეული წელი.

რუსეთმა 1922 წელს არასტაბილური, არამყარი მთავრობით შეაბიჯა. ქვეყანა ძირითადად საომარი მდგომარეობის პირობებში იმართებოდა, რადგან კვლავ მძვინვარებდა სამოქალაქო ომი, ხოლო ვოლგისპირეთი საშინელ შიმშილს მოეცვა. გარდა ამისა, ქვეყანა, რომლის ნაწილი ოკუპირებული იყო უცხოელი ინტერვენტების მიერ, საერთაშორისო იზოლაციაში იმყოფებოდა, მაგრამ წლის ბოლოს, ბოლშევიკებმა ზეიმით აღნიშნეს 1917 წლის გადატრიალ-



იოსებ სტალინი - უკრაინის მშრომელთა არმიის საბჭოს თავმჯდომარე. 1920 წ.

ების (ე.წ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის) მეხუთე წლისთავი; პრაქტიკულად დაასრულეს სამოქალაქო ომი თეთრ მონარქისტულ და კაპიტალისტურ ძალებთან; დიდწილად განდევნეს უცხოური ჯარები და ხელი მოაწერეს პირველ სამშვიდობო საერთაშორისო ხელშეკრულებას ვაიმარის გერმანიასთან, 30 დეკემბერს კი რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის საბჭოთა მთავრობების წარმომადგენლები საზეიმოდ ავიდნენ მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე, რათა გამოეცხადებინათ დაარსება ახალი ქვეყნის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა, რომელიც, სულ მალე, ორ თაობაზე ნაკლებ დროში შესახელმწიფოდ იქცა.

1922 წელი საბედისწერო წელია როგორც რუსეთისთვის, ასევე მისი მეზობლებისთვისაც. პოლიტიკის, საგარეო საქმეთა და კულტურის თვალსაზრისით, მოხდა ისეთი მოვლენები და მიღებულ იქნა ისეთი გადაწყვეტილებები, რამაც სათავე დაუდო ათწლეულების განმავლობაში ინსტიტუციონალიზებულ ტოტალიტარულ ჩაგვრას.

2022 წელს, ბევრი ისეთი მოვლენის ასი წლისთავი თუ ასი წლის იუბილე იქნება, რომლებსაც აუცილებლად გაისვენებენ ან აღნიშნავენ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი და მისი თანამოაზრეები, რომ-

ლებიც ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა იყო „უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“.

„სოსიოპათის“ აღკვეთა

„ეს პირველი წელია, როდესაც გვაქვს შესაძლებლობა, ჩვენი ძალისხმევა მოვახმართ სოციალისტური მშენებლობის რეალურ, მთავარ და ფუნდამენტურ ამოცანებს“, - განაცხადა რუსეთის რევოლუციის ლიდერმა და საბჭოთა კავშირის დამფუძნებელმა ვლადიმერ ლენინმა მოსკოვში ბოლშევიკური პარტიის მე-11 ყრილობის დასკვნით სხდომაზე, რომელიც 1922 წლის 2 აპრილს გაიმართა და სადაც ლენინმა თავის ეკონომიკურ გეგმებზე ილაპარაკა.

„გასული წლის განმავლობაში საკმაოდ ნათლად ვაჩვენეთ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ეკონომიკის მართვა, - აღიარა ლენინმა, - ან ჩვენ დაეამტკიცებთ საპირისპიროს მთავალ წელს, ან საბჭოთა ხელისუფლება ვერ იარსებებს“.

თუმცა დრომ აჩვენა, რომ ყრილობის ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო არა ეკონომიკის მართვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები, არამედ პარტიის ახალ გენერალურ მდივნად 43 წლის ყოფილი სემინარიელისა და პროფესიონალი რევოლუციონერის, იოსებ სტალინის დანიშვნა.


„ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე საბედისწერო მომენტი რუსეთის რევოლუციისა და მთლიანად მეოცე საუკუნისა“, - წერს ინგლისელი კულტურის ისტორიკოსი კევინ ჯექსონი 2012 წელს გამოცემულ ნაშრომში. მიუხედავად იმისა, რომ ეს თანამდებობა ჯერ კიდევ შორს იყო იმ ტოტალური ძალაუფლებისგან, რომელსაც სტალინი შემდგომ წლებში ჩაიგდებს ხელში, პარტიის მდივნობამ მას საშუალება მისცა, თავისი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა ბიუროკრატია, რომელიც სულ უფრო და უფრო ძალას იკრებდა და დომინირებდა ქვეყანაში. სტალინის გენერალურ მდივნად დასახელების გადაწყვეტილებას ლენინი ნაზობდა და სიკვდილამდე დარჩენილი ორი წლის განმავლობაში.

ლენინის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა 1921 წელს. 1922 წლის მაისში ერთი ინსულტი გადაიტანა, დეკემბერში - მეორე. ამავე თვეში სტალინმა პირად კონტროლზე აიყვანა ლენინის მოვლა, რაც ასევე გულისხმობდა ლენინის მონახულების მსურველთა კონტროლსა და შეზღუდვას. 1922 წლის ბოლო კვირებში და ახალი წლის პირველ დღეებში, ლენინმა უკარნახა უკანასკნელი ანდერძი, რომელშიც, როგორც ცნობილია, მოუწოდა ამხანაგებს, „ეფიქრათ სტალინის თანამდებობიდან გადაყენების გზებზე“.

სტალინის გადაყენების მოწოდება იყო

ერთადერთი კონკრეტული წინადადება ლენინის მთელ ანდერძში. „ეს გარემოება შეიძლება უმნიშვნელო დეტალად გამოიყურებოდეს... - ამბობდა ლენინი, - მაგრამ ეს არის დეტალი, რომელსაც შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს“.

„სტალინი სოციალური იყო“, - განაცხადა 2017 წელს რადიო თავისუფლებისთვის მიცემულ ინტერვიუში პრინსტონის უნივერ-



ვლადიმერ ლენინი. 1923 წ.

რსიტეტის პროფესორმა და სტალინის ბიოგრაფმა სტივენ კოტკინმა. „არასოდეს გამოუვლენია თუნდაც ელემენტარული თანაგრძობა, არც ეჭვი შეჰპარვია თავისი პოლიტიკის სისწორეში“.

„მეტად მრბანიშპული“ ტერორი

1922 წლის 2 თებერვალს ყაბადღებული „საგანგებო კომისია“ - შემოკლებით „ჩეკა“ - გადაკეთდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД) სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოდ (ГПУ).

დაუნდობელი ფელიქს ძერჟინსკის დროს „ჩეკას“ საიდუმლო პოლიცია ატარებდა „წითელი ტერორის“ ლენინურ პოლიტიკას, რომელიც 1918 წლის აგვისტოში გამოცხადდა.

„ჩვენ არ ვიბრძვით ცალკეული პიროვნებების წინააღმდეგ, - წერდა ბოლშევიკი რევოლუციონერი და „ჩეკას“ ოფიცერი მარტინ ლატისი ყურნალ „წითელ ტერორში“ 1918 წლის ნოემბერში, - ჩვენ ვანადგურებთ ბურჟუაზიას, როგორც კლასს... ეს არის წითელი ტერორის არსი“.

ოფიციალურად, 4K-ს გარდაქმნა ГПУ-დ მიზნად ისახავდა სტაბილური ინსტიტუტების შექმნას და სამთავრობო უწყებებზე პოლიტიკური კონტროლის დამყარებას. „ჩეკა“-ს რეორგანიზაციას შეეძლო შეეკავებინა წითელი ტერორი, მაგრამ ამის

ნაცვლად, მოხდა მრავალი, ყველაზე საშიშერი პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაცია, მათ შორის, პოლიტიკური ოპონენტების მიზანმიმართული დევნისა.

„4K-ს გარდაქმნამ ГПУ-დ ეს უწყება გარკვეული პოლიტიკური კონტროლის ქვეშ მოაქცია, რაც ტერორის შემცირების წინაპირობას ქმნიდა, - უთხრა რადიო თავისუფლებას პეტერბურგელმა ისტორიკოსმა ბორის კოლონსკიმ 2021 წელს, - მაგრამ, მეორე მხრივ, ტერორი უფრო ორგანიზებული გახდა“.

„1922 წელს გაიმართა სოციალ-რევოლუციონერების სასამართლო პროცესი, - განაცხადა კოლონსკიმ, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა ბოლშევიკების მთავარი დარჩენილი პოლიტიკური მეტოქე „ესერთა“ პარტიის სახით, - და კიდევ, სრასნების მოჭერის ერთ-ერთი მთავარი მომენტი იყო თავისუფალი დისკუსიისა და ფრაქციების შეზღუდვა თვითონ ბოლშევიკური პარტიის შიგნით“.

როდესაც „თეთრი არმიებიდან“ მომავალი საფრთხე შემცირდა, ახალმა სტრუქტურამ, ГПУ-ს სახით, შინაური მტრებისთვისაც მოიცალა. მართალია, რეფორმა გულისხმობდა, დროებით შეჩერებულიყო სასამართლოს გვერდის ავლით სიკვდილით დასჯის პრაქტიკა, მაგრამ ГПУ-მ სწრაფად განაახლა და გააფართოვა პოლიტიკური და ეკონომიკური „მტრების“ ციმბირსა და შორეულ ჩრდილოეთში გადასახლების პრაქტიკა.

გულაგის პირველი ბანაკი სოლოვეცკის კუნძულებზე, თეთრ ზღვაში 1923 წელს გაიხსნა. ერთი წლის შემდეგ, ბჭუს-ს აგენტებმა კვლავ მიიღეს „გარკვეულ გარემოებებში“ სიკვდილით დასჯის უფლება.“

„გულუსი დახმარება... საშინელი უბედურება“

1922 წელს, რუსეთსა და მთელ მსოფლიოში, ყველაზე საშინელი მოვლენა იყო შიმშილობა ვოლგისპირეთსა და მის ფარგლებს გარეთ, რასაც, სულ მცირე, 5 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და, რაც შუა საუკუნეების შემდეგ ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ და საშინელ არასამხედრო კატასტროფად ითვლება.

„1921-22 წლებში ჩვენ ვახებთ მასობრივი შიმშილობა საშინელი რაოდენობის მსხვერპლით“, - უთხრა რუსმა ისტორიკოსმა ვიქტორ კონდრაშინმა რადიო თავისუფლებას გასული წლის სექტემბერში. „ეს იყო რაღაც მე-17 საუკუნის დასაწყისის, არეულობის დროინდელი პერიოდის მსგავსი უბედურება როგორც დაზარალებულ რეგიონში მცხოვრებთა, ასევე დაღუპულთა რაოდენობის მიხედვით“.

დიდმა გავლენამ უძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთი, რომელიც უკვე გამოფიტული იყო პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომების შედეგად. გარდა ამისა, ბოლშევიკებმა, რომლებსაც თეთრი არმიები უკეტავდნენ გზას უკრაინისა და ციმბირის სურსათის მწარმოებელ რეგიონებზე, განახორციელეს მარცვლეულის არაადამიანური რეკვიზიცია.

„გამოვლინდა საშინელი ფაქტები“, - თქვა კონდრაშინმა. „კანიზალიზმი, მასობრივი სამარხები და შიმშილით გამოწყვეული მთელი ოჯახების თვითმკვლელობები“.

1918 წელს ლენინმა სტალინი გაგზავნა სამხრეთის ქალაქ ცარიცინში (რომელსაც მოგვიანებით სტალინგრადი ეწოდა, ახლა კი ვოლგოგრადი ჰქვია) სასაურსათო პროდუქტის რეკვიზიციისთვის ბრძანებით: „იყავი უმონყალო“.



წითელი ტერორის მსხვერპლები. 1918 წ. ყირიმი



მშვიდი ბავშვები სამარის ბუბარინაში. 1921-1922 წწ.

„დარწმუნებული იყავით, რომ ხელი არ აგვიკანკალდება, — უპასუხა სტალინმა, — არავის მიმართ არ გამოვავლენთ გულმონწყალებას“.

1921 წლის ივლისში მწერალმა მაქსიმ გორკიმ მიმართა მსოფლიოს „ყველა პატიოსან ადამიანს“ შიმშილის შემსუბუქების თხოვნით. მიმართვის ტექსტი აღმოჩნდა აშშ-ის ვაჭრობის მინისტრის, ჰერბერტ ჰუვერის მაგიდაზე. ჰუვერმა მისწერა გორკის, რომ მზად იყო შეეცმნა რუსეთში ამერიკის დახმარების ადმინისტრაციის პროგრამა (ARA), თუკი საბჭოთა მთავრობა ფორმალურად მოითხოვდა დახმარებას იმის გაგებით, რომ დახმარების განეჭრა არ ნიშნავდა ამერიკის მიერ რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების აღიარებას.

შეთავაზება უკიდურესად საკამათო იყო შეერთებულ შტატებში, სადაც ბევრი მემარჯვენე ამტკიცებდა, რომ შიმშილობამ შესაძლოა ბოლო მოუღოს ბოლშევიზმს რუსეთში. თუმცა ჰუვერი დაჟინებით მოითხოვდა, „განესხვავებინათ ერთმანეთისგან

მას გაუწიეს საშინელი უბედურების დროს“, — ასეთი შინაარსის წერილი მისწერა ბოლშევიკების ერთ-ერთმა ლიდერმა, ლევ კამენევიმ ARA-ს თავმჯდომარის მოადგილეს, უილიამ ჰასკელს.

1923 წლის თებერვალში, ARA-ს შეფასებით, რუსეთის 8 მილიონ მცხოვრებს ჯერ კიდევ სჭირდებოდა საკვებით დახმარება, თუმცა საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ აპირებდა მარცვლეულის ექსპორტის განახლებას. ARA-ს პროგრამისადმი დასავლეთის მხარდაჭერა კიდევ უფრო შემცირდა მარტში, როდესაც საბჭოთა მთავრობამ გაასამართლა ათიოდე რუსი მართლმადიდებელი სასულიერო პირი და ერთი კათოლიკე მღვდელი, კონსტანტინ ბუდეკევიჩი, საეკლესიო ქონების ჩამორთმევის წინააღმდეგ გამართული მშვიდობიანი პროტესტის ორგანიზებისთვის. ყველა ბრალდებულს, გარდა ბუდეკევიჩისა, მიესაჯა ხანგრძლივი პატიმრობა. ბუდეკევიჩი სიკვდილით დასაჯეს კათოლიკური აღდგომის უქმეებზე და დახმარეს საძმო საფლავეში.

ARA-მ რუსეთში საქმიანობის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო.

„ბატონმა ჰუვერმა თქვა, რომ ასე არასდროს გახარება საქმის დასრულება, — იტყობინებოდა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი, — მას ჰქონდა ბოლშევიკების სრული მიუღებლობა და არ სჯეროდა, რომ ისინი ოდესმე შეძლებდნენ პრაქტიკული მთავრობის ჩამოყალიბებას“.

„სტალინის დროს, 1930-იან წლებში და მას შემდეგაც, ARA-ს ისტორიას ან მთლიანად ჩქმალავდნენ, ან შეგნებულად ამხინჯებდნენ“, — წერს დუგლას სმიტი თავის წიგნში. ჩინოვნიკები და რიგითი საბჭოთა მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობდნენ პროექტში, 1950-იან წლებამდე განიცდიდნენ დევნას. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის 1950 წლის გამოცემა წერდა, რომ ARA-ს მიზანი იყო „საბჭოთა რუსეთში ჯაშუშობის, მავნებლური საქმიანობების და კონტრრევოლუციური ელემენტების მხარდაჭერის აპარატის შექმნა“. 1962 წლის სასკოლო სახელმძღვანელოში ნათქვამია, რომ ARA-ს მიზანი იყო „მეამბოხე ძალების ფარულად ორგანიზება“ და, რომ საკვარაუდო შეთქმულება ГПУ-მ ჩაშალა.

სმიტის მტკიცებით, ARA-ს ძალისხმევა თანაზომიერია იმ დახმარებისა, რომელიც ევროპამ და შეერთებულმა შტატებმა აღმოუჩინეს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

„1992 წლიდან 2007 წლამდე აშშ-ის მთავრობამ 28 მილიარდი დოლარის დახმარება გაუწია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს, — წერს დუგლას სმიტი, — მხოლოდ 1999 წელს რუსეთმა აშშ-ს სთხოვა დაახლოებით 2 მილიარდი დოლარის ღირებულების 5 მილიონი ტონა სურსათით დახმარება... 1999-2000 წლებში რუსეთისთვის განუღებდა აშშ-ისა და ევროპის სასურსათო დახმარებამ გადააქარბა აფრიკის მთელ კონტინენტზე გაცემულ დახმარებას“.

რობერტ კოლსონი, რაიო „თავისუფლება“

(დასასრული მორბე ნომერი)



მოშინილი ოჯახი ყაზანის ბუბარინის ერთ-ერთ სოფელში. 1921 წ.



მშვიდი რუსი ქალები დარკოვილი ახორიის დახმარების ადმინისტრაციის წარმომადგენლების წინაშე. 1922 წ.

რუსი ხალხი და ის ჯგუფი, რომელმაც ხელში ჩაიგდო ძალაუფლება“.

ამერიკის დახმარების პროგრამას საბჭოთა მთავრობაშიც ბევრი ეწინააღმდეგებოდა, მათ შორის ლევ ტროცკიც, რომელიც ამტკიცებდა, რომ დახმარების მიღება გზას გაუხსნიდა ამერიკული ბიზნესისა და ბანკების შეჭრას რუსეთში. ამის შესახებ წერს დუგლას სმიტი 2019 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „ამერიკამ გადაარჩინა საბჭოთა კავშირი განადგურებისგან“.

მიუხედავად ამისა, საბჭოელებმა დაუყოვნებლივ მიიღეს ჰუვერის პირობები. 1921 წლის აგვისტოში ხელი მოეწერა შეთანხმება და აშშ-ის კონგრესმა პროგრამისთვის 20 მილიონი დოლარი გამოყო. რუსეთის მთავრობის 18 მილიონი დოლარის წვლილის და კერძო შემოწმებულების გათვალისწინებით, ჰუვერმა ამ საქმისთვის დაახლოებით 78 მილიონი დოლარი შეაგროვა.

1922 წელს ARA დღეში 10 მილიონ ადამიანს კვებავდა, შექმნიდა რა, სულ მცირე, 768 მილიონი ტონა საკვები. პროგრამაში ასევე დასაქმდა 125 ათასი ადგილობრივი შიმშილით დაზარალებული რაიონებიდან. ARA-მ ასევე უზრუნველყო ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და მედიკამენტებით მომარაგება. ის დაეხმარა დაახლოებით 16 000 საავადმყოფოს, რომლებიც ყოველდღიურად მკურნალობენ ნახევარ მილიონზე მეტ ადამიანს. პროექტმა გააუმჯობესა სანიტარული მდგომარეობა და თავიდან ააცილა რეგიონს ქოლერისა და სხვა დაავადებების გავრცელების საფრთხე. ARA-მ ასევე შეიტანა ათასობით ტონა სათესლე მარცვლეული, რამაც ხელი შეუწყო რევოლუციური მოსავლის მოწვევას და ექსპორტით მოგების მიღებას 1922 და 1923 წლებში.

„რუსი ერის მთავრობა არასოდეს დაივიწყებს გულზე დახმარებას, რომელიც

მოსკოვს ოკუპირებული აქვს არა მხოლოდ სხვათა მინა-წყალი, არამედ მთელი მართლ-მადიდებლობა!



„რუსეთს არს კალა შესწავს, არს კულტურული განვითარება, რომ „მისამე რომი“ იყოს...“

მოყალიბდა, რაოდენ განსაკვირვებელი იყო, იშვიათი გამოვლინება იყო სხვათა მინა-წყალი. აზნაურობა კამანის დავითის შემდეგ, კამანის ეპისკოპოსთან მდგომარეობა რუს დავითის გიჟებს შორის გამოირჩეოდა ერთი მხრივ მართლმადიდებლობის სახელმწიფო ალტერნატივა. რუსთა გან დანახვა, როგორც უფრო მეტი დავითის ტყვეობა, მივიდა რაზმის მითაუბრთან და უთხრა, „თუ ამ ხალხის წამებას არ შეწყვეტით, ჩვენ, რუსის ჯარისკაცები, დავმართებთ იარაღს“.

რა უნდა გააკეთოს მართლმადიდებლურმა სამყარომ, რომ რუსები ჭეშმარიტ ქრისტიანობაზე მოაქციოს და მათ სწორად გააგებინოს ქრისტიანობის არსი?

ანალიტიკოსი ნიკა ჩიტაძე მიიჩნევს, რომ რუსებს ქრისტიანობა არასწორად აქვთ გაგებული, დიდი ხანია, ასეთ პოლიტიკას მისდევენ. სხვა ქვეყნების ტერიტორიების ოკუპაცია, მკვლელობა, დეზინფორმაციის გავრცელება — ეს ყველაფერი ეწინააღმდეგება ათ მცნებას, ქრისტიანულ და ზნეობრივ პრინციპებს. ათი მცნებიდან ერთ-ერთია „არა კაც კლა“, „არ იცრუო“, ამის წინააღმდეგოდ მოქმედებს რუსეთი. აქედან გამომდინარე, რუსეთი დაშორებულია ქრისტიანობას და ქრისტიანობასთან დაშორების სიმბოლოა მათი პატრიარქი კირილე, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებით ამბობდა, რომ რუსეთმა დაკარგა თავისი ისტორიული მიწები, თითქოს საქართველო, უკრაინა ან სხვა რომელიმე ქვეყანა ისტორიულად რუსეთს ეკუთვნოდა. ამასთან, კირილემ გაამართლა უკრაინასთან ომი, თითქოს ამ ომით რუსეთი იცავს საკუთარ მოსახლეობას გეოციდიდან. როდესაც ეწ. პატრიარქი აკეთებს ამ განცხადებას, ეს ნიშნავს, რას წარმოადგენს რუსი სამღვდელთა ნაწილი, რუსეთის ხელისუფლება და, საერთო ჯამში, რუსული საზოგადოება.

„მათი განაცხადები, რომ პირველი რომი დავა, აქ იგულისხმება 476 წელს დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა, ასევე დავა მეორე რომი, ანუ კონსტანტინოპოლი, 1453 წლის 29 მაისს, მესამე რომი კი თითქოს მისკოვია და მეოთხე რომი აღარ იქნებოდა. სინამდვილეში, მესამე რომი მოსკოვი არანაირად არ არის, ეს არის რუსეთის განუხორციელებელი ამბიციები. რუსეთი ბევრჯერ დამარცხებულია სხვადასხვა ომში და დღეს მარცხდება უკრაინაში — დანაშაულები 1223 წლიდან, კლკის ბრძოლაში მონაწილეობით დამარცხებით, დამთავრებული დღევანდელი ომით უკრაინაში“, — აცხადებს ნიკა ჩიტაძე.

მისივე განმარტებით, ქრისტიანული სამყარო რუსებს ვერაფერს შესაძლებს და ვერც გააგებინებს, რომ მათი ქრისტიანობა შორს არის ნამდვილი ქრისტიანობისგან, რადგან რუსებს თავიანთი ამბიციები აქვთ. მათ მიანიჭიათ, რომ რასაც აკეთებენ, ეს ყველაფერი ქრისტიანულია. აქედან გამომდინარე, ნიკა ჩიტაძის აზრით, ასეთი ფსევდოქრისტიანობის წინააღმდეგ მიღებული უნდა იყოს შემდეგი ზომები: 1) რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია უნდა გაირიცხოს მსოფლიოს საეკლესიო საბჭოდან. 2) განხილულ უნდა იქნას მოსკოვის საპატრიარქოს ავტოკეფალიის საკითხი, ვინაიდან ეს არის 16 ავტოკეფალური ეკლესიიდან ერთ-ერთი მსოფლიოში, რომელსაც საერთო ცენტრი არ გააჩნია.

„ეფიქრობ, რუსეთს არანაირი ავტოკეფალია არ უნდა ჰქონდეს და რუსეთის ეკლესია რეალურად არც არის ეკლესია. ამიტომ მხოლოდ ქრისტიანული სამყარო კი არა, სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებიც უნდა დაირაზონ მის წინააღმდეგ — მართლმადიდებლები, კათოლიკეები, პროტესტანტები, ასევე, მუსლიმები, ბუდისტები, კონფუციანელები (აქ იგულისხმება ჩინეთი), ინდუისტები, რადგან ინდოეთთან და ჩინეთთან ცდილობს ახლა რუსეთი ურთიერთობის გაბმას, რათა მოახდინოს დასავლეთის მხრიდან შემოღებული სანქციების კომპენსაცია“, — აღნიშნა ნიკა ჩიტაძე.

მანანა ნოზაძე



გაზით შანტაჟი, თუ პასუხი სანქსიებზე?

„ბაზრომის“ განცხადება, რომ მან ზოგიერთი ევროპელი მომხმარებლისთვის გაზის მიწოდება შეაჩერა გაუმართლებელი და მიუღებელია, — განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა და დასძინა, რომ ევროკავშირი კოორდინირებულ რეაგირებაზე მუშაობს.

„გაზრომის“ განცხადება, რომ ის ცალმხრივად აჩერებს გაზის მიწოდებას ევროპაში, რუსეთის კიდევ ერთი მცდელობაა, გამოიყენოს გაზი შანტაჟის ინსტრუმენტად. ეს გაუმართლებელი და მიუღებელია. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს რუსეთის, როგორც გაზის მიწოდების არასანდობას, — აღნიშნა ევროკომისიის პრეზიდენტმა. ფონ დერ ლაიენის თქმით, ევროკავშირი მზად არის ამ სცენარისთვის და გააგრძელებს მუშაობას გაზის ალტერნატიული მიწოდების უზრუნველსაყოფად.

უკრაინას ნატოში შესვლა აპირიანს ნათრით სურდა?

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი აცხადებს, რომ ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია ღიაა კიევსა და მოსკოვს შორის მშვიდობიანი შეთანხმებისადმი, რომელიც უკრაინის ნეიტრალიტეტს გულისხმობს, — ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია გამოცემის „ვაშინგტონ პოსტზე“ დაყრდნობით ავრცელებს. უკრაინული მედიის ინფორმაციით, ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ უკრაინა თუ რუსეთთან გააფორმებს შეთანხმებას და კონფლიქტის შეწყვეტის მიზნით უარს იტყვის ნატოში გაწევრებაზე, აშშ უკრაინის ამ გადაწყვეტილებას პატივს სცემს.

„ეს გადაწყვეტილება მათ უნდა მიიღონ. ჩვენ არ ვაპირებთ, რომ უკრაინელებზე უკრაინელები ვიყოთ“, — განაცხადა ბლინკენმა.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, ბლინკენმა ეს კომენტარი მას შემდეგ გააკეთა, რაც სენატორმა რენდომ პოლმა ენტონი ბლინკენს ჰკითხა, განაპირობა თუ არა უკრაინის ნატოში გაწევრებისადმი აშშ-ის მხარდაჭერა რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყება. ბლინკენმა სენატორს უპასუხა, რომ „არა“. სახელმწიფო მდივნის თქმით, პრობლემა არა უკრაინის ნატოში გაწევრებაში, არამედ პუტინის მოსაზრებაშია, რომ უკრაინა არ იმსახურებს, იყოს სუვერენული ქვეყანა.

აუხსნელი სისასტიკის ომი

ვფიქრობ ჩვენს ყოფაზე, ადამიანებზე, ადამიანურობაზე. ადამიანი — რა ფენომენია ის. თავისი გააზრებით, სამყაროში სედვის უნარით, განჭვრეტით, ანალიზით, ალქმით, მოვლენებითა და ნებისმიერი სურათების თავისებური, განუმეორებელი (ტვინი, გონება — ეს არის განსაკუთრებული) შეფასებით და ყველაფერი ამის სამეტყველო ენით (ყველაზე მეტი, ყველაზე დიდი, ყველაზე გასაოცარი, აუხსნელი საიდუმლოება) გამოხატავით. ადამიანი! — ერთადერთი მოაზროვნე და მოსაზრებ არსება ცოცხალ არსებათა შორის. რა არის ეს? განგების საჩუქარი? თუ თავად განგება, რომელიც თითოეულ ჩვენგანში, ზოგნი მეტიად და ზოგნი ნაკლებად, განთავსდა და განზავდა?

ეჰ, ვის შეუძლია ახსნას ის, რაც აუხსნელია, ცისა და ოკეანის სიღრმეა, მარადიული ჰორიზონტია...

გრძნობებს შორის, ბოროტი და კეთილი ყელყელაობს ადამიანში. სადღაც ბოროტია მეტი, სადღაც — კეთილი. დიახ, ასეა. ასე ყოფილა და ასე იქნება... ვაი, იმ ქვეყანას, სადაც ბოროტს უჭირავს საჭე და სადღაც, გაუგებრობაში მიარბენინებს არა მარტო თავის ქვეყანას და ხალხს, სხვებსაც... მაგრამ საჭე ის არის, რომ ძალიან რთულია ბოროტისა და კეთილის გარჩევა, ბოროტებს უამრავი თავი აქვს და ისე ცვალებადობს, ისეთი გარდასახვისა და გარდაქმნის უნარი აქვს... თავს — კეთილად მოგაჩვენებს და პირიქითაც... ყველაფერი შეუძლია სიკეთისაგან განსხვავებით. სიკეთე ერთია. მთლიანი, თუმცა, ძალიან ნაზი, მორცხვი.

დიახ, კიდევ ვიტყვი, გავიმეორებ, — ვაი იმ ქვეყანას, რომელსაც ბოროტება მართავს! განა მარტო იმ ქვეყანას, მის გამო სხვა ქვეყნებსაც ვაებაში ყოფნა უწევდათ. ასე არ იყო გერმანიაში, შიტლერის მმართველობის დროს, რაც აგერ ახლა, მოცე საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა, თორემ ვინ მოთვლის რამდენი სიავი დამართა ერთი ქვეყნის ბოროტმა ხელმწიფებამ ქვეყნიერებას, მთელ სამყაროს. მაინც, როგორც იქნა, ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტაში „გართულ“ ხალხი და ქვეყნები მოვედით აქამდე და რომ გვეგონა ბოროტება და უბედურება ისტორიას ჩაბარდა, თურმე ნუ იტყვი და, იგი ცოცხალი კი არა და, მოძლიერებულიც არის... რაც იყო გუშინ, ის კვლავ მეორდება დღეს. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოსა და ქართველ ხალხს იმ დროს გადაუარა ბოროტმა ძალამ, როდესაც ნანატრი ბედნიერება — დამოუკიდებლობა გვეწვია. იგი სისხლით მოვიპოვეთ, აბა, ისე, ვინ რას გვაძლევდა! როგორც ჩანს, სისარულმა თავზე აგვიბნია, თორემ მერე რაც მოხდა — ომი და უბედურება, თავის უფლად შეიძლება აგვერიდებინა!..

ასე იყო თუ ისე, იმის თქმა მინდა, რომ იმ დროს, ყვეაყორნები თავს მოგვეხვივნენ და მტრისას, რაც ჩვენ დაგვმართეს თავისუფლების, დამოუკიდებლობის, დემოკრატიული წყობის აღმშენებლად გამზადებულ ხალხს თავი ჯოჯოხეთში ჩაგვყოფინეს, სხეული დაგვიმანინჯეს, საქართველოს მარჯვენა ხელი — აფხაზეთი, მოაჭრეს, უსასატიკესი, დაუნდობელი წამებით... და მერე, ვინ იყო ჩვენი პატრონი? ახლა იმას ვაბრალებთ, საინფორმაციო ქსელი, ტექნიკა არ იყო ისეთი, როგორც დღეს არის... ძლიერმა სახელმწიფოებმა მგონი ვერც გაიგეს რა ხდებოდა საქართველოში... ალბათ ამის გამო, თუ არ ვიცოდა რატომ, არ შეძრულა მსოფლიო, არავის, არც ერთ სახელმწიფოს არ აუფრიალებია ქართული დროშები, არც საპროტესტო მიტინგები გაუმართია ვისმეს. ოკუპანტი ქვეყნის წინააღმდეგ სანქციებზე ხომ ზედმეტი საუბარი. რუსის ჯარი თავის ნებაზე თარეზობდა ჩვენს მამაბაბურ მიწაზე, იღვრებოდა უცოდველთა სისხლი... ყველაფერი ჩვენი დიდი მარცხით დამთავრდა, თუ შეიძლება დამთავრება..

და ასე, აფხაზეთი ვერ მოგვეწვლენა და 2008-ში, შუაგულ საქართველოში — ცხინვალში შემოიჭრა სატანა. იქაც და აქაც ეს სატანა ისევ რუსეთი იყო, (სხვა ვინ იქნებოდა!), „არნივი“, ერთი თვე რომ არ ყოფნის... შემოიჭრა სამარცხვინო, ავაშისტური თვითღებობით ისე, როგორც ამჯერა უკრაინაში იქცევა. დაგვინიოკა ხალხი, სრულიად მოსპო და გააცამტვერა ასობით სოფელი, ხოცვა-ჟლეტას გადაჩენილები კი გამოიღვენა მშობ-

მგონი, დანთავს სხვებს ნავთს ასხამენ „დასავლეთელი“...

ლიური კუთხიდან. დიდხანს ისმოდა მათი გულისშემძვრელი კვენ-სა და ვაება, მაგრამ დუმდა საქართველოს გარეთ თითქმის ყველა სახელმწიფო! არც რაიმე მნიშვნელოვანი დახმარება, არც სამძიმრები, მართალი გითხრათ, არც არაფერი მოგვეთხოვია არავისთვის, ეს ომი მხოლოდ საქართველოს ომად დარჩა.

ახლა, 2022 წელია. აი ამ საუკუნეში, ამ წლის თებერვალში უკრაინაში შეიჭრა... სისხლით გაუმძღვარი რუსული არმია. საინფორმაციო საშუალებები კი არადა, ომის დაწყებამდე დიდმა და პატარამ, ძლიერმა თუ უძლურმა სახელმწიფოებმა ამ თავდასხმის მზადების შესახებ — ყველაფერი იცოდნენ, უკრაინაზე უკეთაც, დანვრილებით... და მერე რა, ბოროტება არ სჯავბნის სიკეთეს? რა ხდება დღეს? გრძელდება უდანაშაულო უკრაინელი ადამიანების — ბავშვების, ქალების, მოხუცების, ჩვეულებრივი მოქალაქეების წამება და მათი სისხლით უკრაინული მიწის მორწყვა. გული, ლამის არის, გასკდეს დარდით, მაგრამ რუსეთისა და მისი ბახალებისგან რამდენჯერმე აობრებულმა, დაჭრილმა და დამცირებულმა საქართველომ, რა უნდა გილონოთ, როგორ ვუშველოთ ჩვენთვის მოყვრებად შერაცხულ უკრაინელებს, მაშინ, როცა თავად დიდი და ძლიერი სახელმწიფოები ვერ შევლიან? აი, რატომ ვერ შევლიან, ამის ახსნა კი მიჭირს ძალიან... ნუთუ მართლა ვერ შევლიან თუ არ შევლიან? ზო-

გიერთმა სახელმწიფომ, მათ შორის მგონი უნგრეთმა, პატიოსნად გამოაცხადა, ვერაფერს ვუშველი, ეს ჩემი ომი არ არისო, რა ვქნა, მიჩვენებ ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს მივხედო. ვერაფერს იტყვი, ვაცია და გუნება. ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი და ვიტყვი კიდევ: ავი სიმართლე გერჩიოს ლამაზ ტყუილს. ეს სენტენცია ჩემი მიგნება როდია, ბრძენთა ნაზრევია... ვიცით ეს ყველამ? არა, არ ვიცით, უნდა ვიცოდეთ კი... გაოგნებული ვუყურებ უკრაინის უბედურებას და ვფიქრობ: ახლა რა არის მთავარი? — (უკრაინის ჯარისთვის იარაღის მიწოდება, იმ დროს, როცა თითქმის მილიონობით ადამიანი, უკრაინელი თუ რუსი ჯარისკაცი განადგურებულია, თუ სხვაგვარი (უმაღლეს დიპლომატია რომ ეძახიან) ძალისხმევა, იარაღის დაყრა და ამ სასატიკო და ბინძური ომის შეჩერება? თუ ადამიანის სიცოცხლეზე ფიქრობთ, ჩემო ძვირფასო კაპიტალისტებო, დემოკრატებო, ძლიერი და დიდი სახელმწიფოების მმართველებო, შეაჩერეთ ომი!

მე. ასე ბაზუარაჩვილოდ ვფიქრობ მე, საძაბრთველოს ერთი, რიგითი მოძალაძე, მამრამ საუბედუროდ, მზრუნველთა შორის მირ მხადავ ომის შეჩერების მსურველს. თუ მიჩვენებ რაიმე? სხვათა შორის, ბაჰირთველი უკრაინა იმ ადამიანებს, იგივე ძაბრთველებს, პარლამენტარებს, საკუთარი საზოგადოების თითის რომ არ ანაგრავენ, ახლა კი იცრამებლიან, სამიზნარაზი წასასვლილად მიიჩაბრან... რა ძნან, მათ სომ უკრაინელები მხადავ (საძაბრთველოს მთამროზაში) მიტად უხვართ და ებრალებათ... ასეთი ბაჰინაბრები უარსი ძნელად ასათანია ნამდვილი, ერთბული ადამიანისთვის... ვიცით, ვინც არიან მანეი, უცნომლობა წინაში საძაბრთველოს რომ ამცირებენ, ძირს რომ უთხრან მთამროზას, მითომ ეს მთამროზა ძაბრთველი ხალხის კი არა, უცნომრანბელითა არჩაული იყოს... არა მგონია აბათ (ასეთის) ვინმეს ერთბულია შეიძლოთ!

ძვირფასო მკითხველო! მითხარი, იქნებ რამე დავინახო დამამზიდებელი — ფარისევლების ცრემლის ღვრა თუ ის, დანთებულ ცეცხლზე ნავთს რომ ასხამენ, ანუ აქეთაც და იქეთაც, ომის ორივე მხარეს, საბრძოლო იარაღით რომ ამარაგებენ მავანნი?

უფალო, ხომ „მომანიჭე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განვიტვად ძმისა ჩემისა“, რატომ ესაუბრობ ასე მე სომ მხოლოდ ერთი რამ მინდა : თითოეულმა სახელმწიფომ შეინარჩუნოს თავისი სახე, აამუშაოს დიპლომატია, შეაწყვეტინოს რუსეთს ეს სასტიკი და სატანური ომი, გაიმარჯვოს მშვიდობაში!

გულნარა სტურუა



მორიგი დახმარება სამუშაოზე სექტორს

რას ფიქრობენ მშენებლები?!

მთავრობა ინფრასტრუქტურული მშენებლობის პროექტებს იწვევს. ბიუჯეტი ჯერ განერილი არ არის, თუმცა, პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, 2.5-3 მილიარდი ლარის დახარჯვა იგეგმება. სამუშაოები წელსვე უნდა დაიწყოს და 3 წელიწადში დასრულდეს. სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებს ახალ ინიციატივასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები აქვთ, თუმცა კრიტიკული აზრი ჯერ არავის გამოუთქვამს.

ღარიბაშვილის ინფორმაციით, აშენდება „პოლიციის ქალაქი“, დევნილებისთვის — საცხოვრებელი სახლები, სკოლები და ბაღები, განხორციელდება მელიორაციისა და წყალმომარაგების, თავდაცვის სამინისტროს ქოლგის

ქვეშ არსებული სამშენებლო პროექტები, კულტურულ-სპორტული პროგრამები (სპორტული მოედნების, მუზეუმების რეაბილიტაცია).

„პროგრამის განხორციელებით 20 000 ახალი სამუშაო ადგილი გაჩნდება. ჩვენ სამშენებლო სექტორს შევთავაზებთ, მიიზიდონ ჩვენი გარანტიით, გარანტირებული დაკვეთით დამატებითი ფინანსური რესურსი და ჩაერთონ ამ პროგრამაში. ვფიქრობ, ეს იქნება უნივერსალური გადაწყვეტილება. ერთი მხრივ, ჩვენ დაგვამიდ პროექტებს ვადაზე ადრე განხორციელებთ და, მეორე მხრივ, ეს ყველაფერი ეკონომიკას დაეხმარება. ასევე, ბიზნესისთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭე-



რა და შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. მთავრობა საკუთარ პროექტებს განხორციელებს ვადაზე ადრე“, — გა-

ნაცხადა მთავრობის მეთაურმა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, იგეგმება 800 სკოლის მოწესრიგება, მათ შორის,



ტურისტებს ისევ სულად ვემსახურებით!..

საქართველოში დასვენების მსურველთა უმეტესობა ისრაელიდანაა

რუსეთ-უკრაინის ომმა საქართველოს ტურისტული სფერო მნიშვნელოვნად დაზარალა. გარდა იმისა, რომ რუსი და უკრაინელი ტურისტების რაოდენობა მცირდება, ევროპელი ტურისტების უმრავლესობა ქვეყანაში ჩამოსვლისგან თავს იკავებს. როგორც სულ ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი, ევროპის ქვეყნების მოქალაქეებმა ზაფხულის ჯავშნების 70% გააუქმეს. როგორც სფეროს წარმომადგენლები „კომერსანტთან“ აცხადებენ, ამ ეტაპზე ძირითადად ებრაელი ტურისტები აქტიურობენ, რომელთა უმეტესობა საშუალო ან დაბალმხარჯეულ სეგმენტს წარმოადგენს.

ტურიზმის სფეროს ექსპერტ მანანა ალადაშვილის ვარაუდით, ზაფხულის ტურიზმს ჩაეკარდა არ ემუქრება, თუმცა გარკვეული პრობლემა მოსალოდნელია ევროპული ნაკადების მკვეთრი კლების გამო.

„ევროპიდან ჯავშნების 70% გაუქმებულია. ამაზე სექტორის წარმომადგენლებმა უკვე განაცხადეს. ამ ეტაპზე ძირითადად ებრაელები აქტიურობენ, ინტერესი შეიმჩნევა აზერბაიჯანიდანაც. ასევე განიხილება აზიისა და არაბული ქვეყნები, თუმცა დიდწილად მაინც ისრაელიდან აქტიურობენ. ეს არის საშუალო და დაბალმხარჯეული სეგმენტი, მაღალმხარჯიანი ტურისტი საქართველოსკენ არ წამოვა. მხარჯეული ტურისტი განსაკუთრებული კატეგორიაა. საქართველო ასეთი მოგზაურებით დიდად ტანებზე უფრო არ არის. ძალიან სუსტები ვართ მომსახურების სეგმენტში, მილიონობით ტურისტი ევროპის წამყვან ქალაქებში და მათი მომსახურება იმდენად დახვეწილი და კომფორტულია, არც იგრძნობა, რომ ყოველდღიურად ამდენ ადამიანს უწევს მომსახურებას, არ იგრძნობა გადატვირთვა, მომსახურება უმაღლეს დონეზეა. აქ კი ფასები ისეთი მაღალია, რომ ევროპულს უკვე გაუთანაბრდა, ხოლო მომსახურების ხარისხის მხრივ შედარებაც არ არის, დიდი ჩამორჩენაა. ცხადია, ასეთ პირობებში დასვენების მსურველთა რაოდენობა ბუნებრივად იკლებს, რაც მოსალოდნელია.“ – ამბობს ალადაშვილი „კომერსანტთან“.

შედარებისთვის, როგორც მანანა ალადაშვილი აღნიშნავს, საფრანგეთში 5-ვარსკვლავიან სასტუმროში 1 ნომერი დღეობს 220-250 ევროდან თუ ღირს, ანალოგიური ფასის საქართველოშიც, თუმცა ხარისხი სტანდარტთან ხშირ შემთხვევაში შეუსაბამოა.

3-ვარსკვლავიანი სასტუმროებში ფასები დაახლოებით 30-40 ევროს ფარგლებშია და ამაზე ნაკლები არც საქართველოში ღირს. თუმცა, როგორც ექსპერტი განმარტავს, განსაკუთრებით ამ სეგმენტში არის დიდი პრობლემა მომსახურებასთან დაკავშირებით, რის გამოც ქართულ კურორტებზე დასვენება ევროპელი ტურისტებისთვის უკვე აღარ არის პრელატიული.

რაც შეეხება უშუალოდ ზაფხულის ტურიზმთან დაკავშირებულ მოლოდინს, რესტორატორთა ასოციაციის ხელმძღვანელის შოთა ბურჯანაძის თქმით, შესაძლოა აზერბაიჯანიდან, აზიისა და არაბული ქვეყნებიდან ჩანაცვლდეს ის ნაკადები, რომელიც უკრაინიდან და რუსეთიდან შემოდიოდა, მაგრამ ესეც ომის შედეგზეა დამოკიდებული.

„ახლა მოლოდინის განსაზღვრა არის ურთულესი. ცხადია, რომ ბაზრების დივერსიფიცირება უნდა მოხდეს, ამ შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს აზერბაიჯანის ბაზარი, ასევე აზიის და არაბული ქვეყნებიდან ჩანაცვლდეს ის ნაკადები, რომელიც უკრაინიდან და რუსეთიდან შემოდიოდა. თუმცა, თუკი ესკალაცია გამწვავდება, ეს მოლოდინიც შეიძლება გაქარწყლდეს.“ – ამბობს ბურჯანაძე „კომერსანტთან“.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2022 წლის მარტში, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ტურისტული ვიზიტების აღდგენის კოეფიციენტი 48.5%-ს შეადგენს. როგორც უწყებაში განმარტავენ, იანვარი-მარტის პერიოდში აღდგენის დინამიკა ტურისტების რაოდენობის თვალსაზრისით 52%-ს აღწევს.

მარი ჩიტაია

როგორ დაზარალდება მსოფლიო ტურიზმი უკრაინა-რუსეთის ომისგან?!

მსოფლიო ტურიზმი 2022 წელს თითქმის 7 მილიარდ დოლარს დაკარგავს რუსეთ-უკრაინის ომის შედეგების გამო. ქვეყნები, რომლებიც ყველაზე პოპულარულ მიმართულებათა ტოპ-10-ში არიან, ძალიან დაზარალდებიან.

რუსეთის ომმა უკრაინაში უკვე იმოქმედა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე. ეს რეგიონი, რომელიც ისტორიულად დაკავშირებულია მსოფლიოს უძველეს ცივილიზაციასთან, არის ერთ-ერთი საუკეთესო ტურისტული ადგილი. ქალაქები დუბაი, კაირო და სტამბოლი რეგულარულად ხვდებიან მსოფლიოს საუკეთესო ტურისტულ ადგილებს შორის, მაგრამ რადგან ომი ანადგურებს ენერჯეტიკისა და სურსათის ბაზრებს და მთელ მსოფლიოში მძლავრ ინფლაციას იწვევს, ზოგიერთ ქვეყანაში ტურიზმის ინდუსტრიაზე მოქმედებს.

Euromonitor International-ის მონაცემებით, გლობალური შემოსავალი 2022 წელს 6,9 მილიარდი დოლარით დაზარალდება. უკრაინელებისა და რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსული ტურისტების სამი ყველაზე პოპულარული მიმართულებაა ეგვიპტე, თურქეთი და არაბეთის გაერთიანებული საამიროები.



Colliers International-ის ანგარიშის მიხედვით, 2019 წელს ტურისტული ნაკადი უკრაინიდან ეგვიპტეში წლის განმავლობაში 49%-ით გაიზარდა. 2021 წელს უკრაინელები გახდნენ პირველი ტურისტები, რომლებიც ეგვიპტეში პანდემიის შემდეგ ჩავიდნენ. 2021 წელს რუსეთის ფედერაციამ გააუქმა ეგვიპტეში ჩართული ფრენების ექვსწლიანი აკრძალვა, რომელიც დაწესდა 2015 წელს ავიაკატასტროფის შემდეგ. წელს ამ ქვეყნიდან 700 ათასმა ვიზიტორმა მოახერხა კურორტებზე გაფრენა. ეგვიპტის ტურიზმის სამინისტრო ახლა სხვა ქვეყნებიდან ვიზიტორების მოზიდვას ცდილობს.

თურქეთი იმედოვნებდა, რომ წელს ეკონომიკა ფეხზე დადგებოდა ტურისტული ინდუსტრიის აღდგენით, მაგრამ ომი და სანქციები საფრთხეს უქმნის 2022 წელს 34,5 მილიარდი დოლარის შემოსავლის გეგმებს. ანტალიის ზღვისპირა კურორტებზე ტურიზმის მუშაკები შემოფოტებული არიან ჯავშნების შემცირებით, რადგან ვიზიტორებს შორის რუსი და უკრაინელი ტურისტები პირველ ადგილზე არიან. ჩვენ ველოდებით ზარალს 60%-დან 65%-მდე. მაშინაც კი, თუ დღეიდან გამოსავალი მოიძებნება, ჩვენ უკვე ვკარგავთ მოლოდინების 50%-ს, – თქვა ნიჰალ დურუკმა, ანტალიის სასტუმროს გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერმა.

Arabian Travel Market-bc (ATM) მონაცემებით, 2021 წელს რუსეთი არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში ტურისტების სიდიდით მეორე ადგილზე იყო. ომამდე ექსპერტები წინასწარმეტყველებდნენ, რომ რუსი ტურისტები არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში მომდევნო 4 წლის განმავლობაში 1 მილიარდ დოლარს დახარჯავდნენ.

ულანბაზს რაჭაში მაღალსასტუმრო „RADISSON“ გაიხსნება

ონის მუნიციპალიტეტის კურორტ უნერაში, საერთაშორისო ქსელის სასტუმრო პირველი დაინწყებს ოპერირებას. 85-ნომრიანი, 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს გახსნა 2023 წლისთვისაა დაგეგმილი.



ალსანიშნავია ის ფაქტი, რომ მშენებლობის პროცესში ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა და სასტუმროს გახსნის შემდეგაც, „რედისონის“ პერსონალის უმრავლესობა

რაჭველებით დაკომპლექტდება. პროექტში ინვესტორი საპარტნიორო ფონდს შემოჰყავს და რამდენიმე მილიონი ლარის ინვესტიცია იგეგმება.

„Radisson“-ის საერთაშორისო ქსელი მსოფლიოში 1909 წლიდან ოპერირებს. თბილისის, ბათუმისა და წინანდლის შემდეგ, 2023 წლიდან რაჭაშიც შეგვეძლება მაღალი დონის მომსახურებით თავი გაავინებოთ.

აშენდება 80 ახალი სკოლა, აგრეთვე, ქვეყნის მასშტაბით აშენდება 90 საბავშვო ბაღი და რეაბილიტირდება 412.

პრემიერისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, პოლიციელებისთვის 1000-ბინიანი პოლიციის ქალაქი აიგება. მთავრობა მასშტაბურ პროექტს იწყებს დევნილების ბინებით უზრუნველყოფის მიმართულებითაც.

„13 ათასამდე დევნილი ოჯახი მიიღებს ბინებს მომდევნო 3-4 წელიწადში. მათგან ნაწილს დაუკანონდება, ნაწილს, დაახლოებით 6 ათას დევნილს, გადაეცემა სახლები „სოფლად სახლის“ ფარგლებში, 7 ათასი დევნილი ოჯახისთვის აშენდება ახალი, თანამედროვე სტანდარტების კორპუსები და მათ გადაეცემათ თანამედროვე სტანდარტების ბინები სრული რემონტით, რაც ჩვენი ვალდებულებაა. დაინწყება ახალი კორპუსების მშენებლობა თბილისში, რუსთაველი, ქუთაისში, ზუგდიდისა და ბორჯომში. ეს არის მასშტაბური პროექტი, რომელიც, მაქსიმუმ, 3-4 წელიწადში უნდა დასრულდეს.“ – აღნიშნა პრემიერმა.

აშკარაა, რომ მთავრობამ სამშენებლო სფეროს მიმართულებით მუშაობა გააძლიერა, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სექტორს არაერთხელ დაესმარნენ პანდემიის პერიოდშიც. დარგის სპეციალისტები მთავრობის ინიციატივას დადებითად აფასებენ. როგორც კომპანია „ივერონის“ ხელმძღვანელი **არჩილ ჯაყელი** ამბობს, სხვადასხვა ღონისძიებით შესაძლებელი გახდა კრიზისის აღდგენა, რომელიც სექტორს რეალურად ემუქრებოდა და ომიდან გამომდინარე, გარკვეული რისკები დღესაც არსებობს.

„მთავრობის დახმარებების გარეშე, სავარაუდოდ, დიდი კრიზისი გველოდა. პანდემიამ, შემდეგში უკვე ომმა, სამშენებლო ბიზნესში ვითარება დაამძიმა. დარგს სტიმულირება სჭირდება, რომ მაღელ გამოვიდეს მდგომარეობიდან. მცირე წახალისებაც კი ბიზნესს ათმაგად წაადგება და კარგია, რომ ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები იდგმება. მნიშვნელოვან პროექტად მიმაჩნია ასევე სამშენებლო განვადება, რაც საშუალებას იძლევა მოკლე პერიოდშივე მოხდეს თანხების სა-

ქართველოს ეკონომიკაში ჩაშვება. ამ მხრივ აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია“, – განაცხადა არჩილ ჯაყელმა. ცოტათი განსხვავებული შეხედულება აქვს მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარეს **ირაკლი როსტომაშვილს**. მისი აზრით, ეს არა დეველოპერებს, არამედ სამშენებლო ორგანიზაციებს ესება.

„ეს ეტაპი სუფთა სამშენებლო ორგანიზაციებს, რომლებიც იღებენ დაკვეთას და ასრულებენ ხელშეკრულებით. მენაშენებელი ვაშენებთ ჩვენი ინიციატივით, ვახდენთ ამა თუ იმ ტერიტორიის განვითარებას და მერე ვეძებთ მყიდველს. ამ შემთხვევაში, თუ მაგალითად, ბინათმშენებლობაზე ვსაუბრობთ, სახელმწიფოს შესაძლოა, რამე შევთავაზოთ. მსგავსი რამ შეიძლება მოხდეს, თორემ რაც შეეხება სკოლებს და ინფრასტრუქტურულ ობიექტებს, ამას სუფთა სამშენებლო ორგანიზაციები ახორციელებენ.“

იდეაში, ეს არის საინტერესო იმპროვიზაცია, რომ თუ ეს თანხები განერილია ბიუჯეტში (და სახელმწიფო საბიუჯეტო გარანტი იქნება), არის საშუა-

ება, რომ სამშენებლო ორგანიზაციის პქონდს წევრობა, თანხები მოიზიდოს და ზურგს გაუმაგრებს საბიუჯეტო გარანტია. თუმცა, აქაც რაღაც შეკითხვები არის. არაინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ვთქვათ, სხვა ობიექტებზე მსგავსი გარანტიის შემთხვევაში ცოტა გაუგებარია, რა ვალუტაში მოხდება გარანტიის გაცემა. როგორც წესი, ამ თანხის მოზიდვა მაინც უნდა მოხდეს უცხოეთიდან. შესაბამისად, ეს საკითხი რამდენად რეალური იქნება, ანუ უცხოელ ინვესტორთან საუბარი ლარში, ამასაც დაზუსტება უნდა“, – განაცხადა როსტომაშვილმა.

ახალი პროგრამის დაწყება პრემიერმა უკვე კიდევ 14 თებერვლის მთავრობის სხდომაზე დააანონსა, რომლის ფარგლებშიც მთავრობა ერთდროულად იქნება ახალი უძრავი ქონების მშენებლობის დამკვეთი და იმავდროულად – სამშენებლო სექტორისთვის სესხების გარანტორი. მშენებლობის დაფინანსება სწორედ სამშენებლო კომპანიების მიერ მოზიდული საბანკო სესხებით მოხდება.

პაპა დანელია

ენისკაცო

რამდენიმე გვსმენია, ერთმანეთის გატანაში მეგრელებს ბადალი არ ჰყავთო, მაგრამ მზაშა მბნელია გადაუჭარბებლად შეგვიძლია გამოწვევისად მივიჩნიოთ და ჩემპიონად ვაკურთხნათ, რამეთუ იგი ზოგადქართული ფენომენია სიკეთის ქმნის ნიჭით სტუდენტი ახალგაზრდობის „შეიარაღებაში“. და განა მარტო მათი?

ჩვენი ძვირფასი მეგობრისა და კოლეგის დამსახურებათა ნუსხას ავჭალის პენიტენციური დაწესებულების ბინადართათვის წაკითხული ლექციებიც ამშვენებს, რომლებიც მხოლოდ დედა ენის მაღლით როდია შთაგონებული – ისინი უპირველესად გზასაცდენილ თანამემამულეთათვის ცხოვრების ჩვეულ რიტმში მოქცევასა და მათი სულიერი კათარზისის დაჩქარებას ემსახურებოდა.

საგულისხმოა, რომ არაერთი მათგანი სტუდენტი გახდა. და ეს კიდევ არაა ყველაფერი. დიას, ეროვნული მრწამსის ერთგულმა ენათმეცნიერმა სამშობლოს წინაშე ვალი ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ეროვნულ უმცირესობათათვის სახელმწიფო ენის შეყვარებითა და, რაც მთავარია, შესწავლითაც მოიხადა.

ეს ისე, ლირიკული შესავლისთვის, თორემ ვინ მოთვლის, რამდენი აკადემიური საათი დაუთმო 40-წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში სოციალურ მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა, საქართველოს სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ და ან უკვე საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრმა – აკადემიკოსმა მომავალ თაობათათვის უმაღლესი განათლების კარიბჭის გახსნას.

აღნიშნული რეგალიები ჰაერიდან არ მოსულა – მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კედლები უტყვი მონღეა იმ სანიმუშო სტუდენტობისა, რაც თანატოლთაგან ყოფილი ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსიის მკვიდრს გამოარჩევდა და ცოტას თუ ემასხვრებდა, როგორი ფსიქოლოგიური ტრავმა და შეუხორცებელი ჭრილობით მიიწვედა წინ ტეხურის ტალღებში მამის დაღუპვით სიჭაბუკეგამწარებული, მაგრამ სულით უტყვი ეგრისელი ყმანვილი. ალბათ, ობლობასაც უკავშირდება ჩვენი საამაყო თანამედროვე დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბება, პენითა და აკურატულობით ბევრს რომ ჩაისვამს ჯიბეში, 31 სამეცნიერო ნაშრომის ავტორობა კი მა-



ამაბი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია

შინ, გასული საუკუნის 70-იან წლებში ვაკის სტუდენტულ ქალაქში გატარებული დაუფინყარი პერიოდის ერთგვარ გვირგვინს წარმოადგენს.

ზემოთ ბატონი ვლადიმერი გაციხსენეთ და განსაკუთრებული სტილიონები უნდა ვუძღვნათ აგრეთვე მისი ნათელი ხსოვნის რუდუნებით მომფრთხილებელსა და ჩვენი ღირსეული თანამემამულის სამაგალითოდ აღმზრდელ ქალბატონს ლეილა ცინცაძეს, რომლის სახეცაც, პოეტური ხიბლით გასხივოსნებული, ჯერჯერობით 19 წიგნის ავტორის თავისებურ მუზად ქცეულა. დიას, ნაიკითხეთ მშობელი დედის ნაამაგარი შვილის ლექსები და მიხვდებით, ვინ დააბურცა ასე უხვად ამ კეთილშობილების განსახიერებას პირადულის გვერდზე გადადებისა და მოყვასისადმი, უპირვე-

ლესად – საკუთარი საფიცარი დებისა და მათი შთამომავლებისადმი უსაზღვრო თანადგომის ნიჭი.

სხვათა შორის, უფროსმა მეგობარმა და კოლეგამ ძმური უანგარო ამაგით, სასკოლო ასაკიდან მოყოლებული, ჩემი ბიოგრაფიაც დაამშვენა, ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით და მისდამი მადლიერებას სახალხოდ გამოვხატავ!

და აი, მივადექით 12 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის აქტიური მონაწილის არანაკლებ ნაყოფიერ კიდევ ერთ ასპარეზს, რომელიც ამ სფეროში სამეცნიერო ნაშრომთა პირველი კრებულის – „სპორტის ჟურნალისტიკის საკითხები“ – გაამდიდრა.

მანამდე კი... ძველი ლელოელი, „დილის გაზეთის“ სპორტის განყოფილებისა და ჟურნალ „საქადრაკო სამყაროს“ რედაქტორი, ჩვენი ერთუზიასტი კორესპონდენტი უკვე ნახევარი საუკუნეა მკითხველს პროფესიონალიზმით დალდასმული რეპორტაჟებით, ინტერვიუებით, ჩანახატებითა თუ ანალიტიკური წერილებით ანებივრებს.

ღირსების ორდენის კავალრის, სეოკ-ის მიერ წლის საუკეთესო სპორტის ჟურნალისტად აღიარებული რეპორტიორის, ნოდარ გუგუშვილისა და სერგეი მესხის სახელობის პრემიების ლაურეატის კალამს სპორტის თემაზე შექმნილი არაერთი ნაშრომი ამშვენებს, ჟამთაველის შესაბამისად კიდევ უფრო რომ დააფასებს გულშემატკივარი, მათგან სამი კი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის კონკურსების გამარჯვებულია. აღარაფერს ვამბობთ 2004 წელს ოლიმპიურ ათენში მივლინებაზე, სადაც მისი დაღვრილი სიხარულის ცრემლები სრულიად საქართველოსთვის წარმატებათა თილისმად ითვლება.

თითქოს, ფართო დიაპაზონის მოაზროვნის ნამოღვაწარის მთელ სპექტრს შევებთ – ყოველ შემთხვევაში, ვეცადეთ მაინც – მაგრამ უკმარისობის გრძნობა გვრჩება და ვიმედოვნებთ, რომ კეისარს კეისრისას შემდგომში უკეთესად მიაგებენ, დღეს კი 70 წლის ვაჟა დანელიას საიუბილეო თარიღს ვულოცავთ და ჯანის ისეთ სიმრთელეს ვუსურვებთ, სანუნუნო რომ აღარაფერი ჰქონდეს.

მრავალჟამიერ, მკვლევარი! მრავალჟამიერ, კოლეგა!

„სპ“ რედაქციის სახელით ბია პლატონიშვილი

ლეგიონერი

9-ქულიანი წვლილი

თორნიკე შინგალია პირველი იტალიურ ტიტულს უახლოვდება. საუბარია ევროთასის ნახევარფინალში „ვირტუს ბოლონიას“ გასვლაზე, რომელმაც მძაფრ ბრძოლაში გერმანული „ულმი“ 83:77 დაამარცხა.

დრამატული შეხვედრის ბედი უკანასკნელ წამებზე გადაწყდა, როცა 77:77-ზე აპენინელებმა ზედიზედ 6 უპასუხო ქულა ჩაუგდეს სტუმრებს. საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი პარტნიორებს 9 ქულით შეეწია, მათ მომავალ მეტოქეს კი ფრანგული „პარი ლევალუასა“ და ესპანური „ვალენსიას“ მატჩი გამოავლენს.

შეგახსენებთ, რომ „ჯვაროსანთა“ ლიდერის ამჟამინდელი კლუბი „სერია – ა“-ს სატურნირო ცხრილის სათავეშიცაა, ასე რომ საცხებით შესაძლებელია „ბასკონიას“ შემადგენლობაში რამდენიმე წლის წინათ ლიგა ენდესაში გამარჯვებას მორიგი წარმატება (ან წარმატებები) მოჰყვეს.

ამასობაში ნბა-ში ვადამდე გამოვლინდა აღმოსავლეთის კონფერენციის ორი ნახევარფინალისტი. ესენია „ბოსტონი“ და „მაიამი“, რომლებმაც პლეიოფის პირველი ეტაპის სერიები შესაბამისმად „ბრუკლინსა“ (4:0) და „ატლანტას“ (4:1) მოუგეს.



ფეხბურთი



ჩემპიონთა ლიგას მრავალი დაუფინყარი საფეხბურთო სპექტაკლი ახსოვს „სიტისა“ და „რეალის“ წლევეანდელი პირველი ნახევარფინალი კი უსათუოდ მათ შორის დაიშვიდრებს ადგილს.

აქამდე ღირსეულ მეტოქეთა ურთიერთ შეხვედრებში აბსოლუტურად თანაბარი ბალანსი იყო დაცული – 2-2 მოგება – ფრე-ნაგება ბურთების ასევე ტოლ-სწორი შეფარდებით, ასე რომ გვარდიოლასა და ანჩელოტის დამატებითი მოტივაციაც ამოძრავებდათ კოლეგათა პრინციპულ ტაქტიკურ დუელში დასაწინაურებლად. მართალია, ჯერჯერობით წინ კატალონელი მწვრთნელი გავიდა, მაგრამ ძნელი სათქმელია, რამ-

ჰიბნი შეტევა!

დენად ეყოფათ მის შეგირდებს შინ მოპოვებული მინიმალური უპირატესობა საპასუხო რაუნდში, მით უმეტეს – ვულკანის კრატერივით ამოფრქვევით გამორჩეულ „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

„სიბი“ - „ჩაელი“ 4:3 პირველი ტაიმი 2:1 გოლები: დე ბრუინი, უესუსი, ფოდენი, ბერნარდუ სილვა; ბენზემა – 2 (1-პენალტით), ვინისიუ ჟუნიორი. მასპინძელთა სოლიდური სათამაშო შტურმი 3-ჯერ გადაიზარდა 2-ბურთიან წინსვ-

ლაში, მაგრამ „სამეფო კლუბს“, მოვლენათა მისთვის არასასურველი სცენარით განვითარების მიუხედავად, ეყო ძალა პრიმერა დივიზიონისა და პრემიერლიგის ლიდერთა საპასუხო დუელისთვის ინტერიგა შეენარჩუნებინა, რაც უპირველესად 36(!) წლის ფრანგი ვეტერანის ბენზემას დამსახურებაა. „იტვიჰადზე“ შესრულებული დუბლის შემდეგ „ოქროს ბურთის“ დაუფლების მთავარ კანდიდატს სეზონში უკვე 41 გოლი დაუგროვდა (რონალდუს რეკორდი 44 გატანილი ბურთია).



კახეთის რეგიონში 35 მლნ ლარზე მეტი ღირებულების სამედიცინო პროექტები იწყება

შპს „საბარტოვილოს მილიტარული“ გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე სამედიცინო ინფრასტრუქტურის მიმართულებით ადგილზე გამოვლენილი საჭიროებების საკითხები დეტალურად განიხილა.

ტეხი დაიწყო, შედეგად, დამატებით 6 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგულარულად მოიწვევება, ხოლო წყლის მიწოდება 10 ათას ჰექტარზე გაუმჯობესდება. 2022 წელს ახმეტისა და თელავის მუნიციპალიტეტებში ზემო ალაზნის სარწყავ სისტემაზე დაგეგმილია: მაგისტრალური არხის მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაცია, ღვარსაშვის წყალგამანაწილებელზე დასურული მილსადენის აღ-

დგენა, მაგისტრალური არხის გვირაბის ავარიული მონაკვეთის აღდგენა-რეაბილიტაცია, სოფლების საკობიანოს, ბაყილოვანისა და მათანის გზაგამტარების რეაბილიტაცია. გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში, ქვემო ალაზნის სარწყავ სისტემაზე შემდეგი სამუშაოები ჩატარდება: მაგისტრალურ არხზე არსებული სამთანყაროს წყალსაგდების, ვეჯინის სწრაფმდენის, მასზე არსებული სარეგულაციო კვანძის და კალაურის ავარიული წყალსაგდების რეაბილიტაცია; მაგისტრალური არხის გამანაწილებლების რეაბილიტაცია; ქალაქ ლაგოდეხში გამავალი სარწყავი არხის 2-კილომეტრიანი მონაკვეთი რეინაბეტირებით მოპირკეთდება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დაგეგმილია სოფელ სამთანყაროს მექანიკური მორწყვის სისტემის განაწილებელი ქსელის რეაბილიტაცია, ჩატარდება სამთანყაროს სატუმბო სადგურის სადანიერო მილსადენის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენის და ფიროსმანის სატუმბო სადგურის მოდერნიზაციის სამუშაოები.



პროფესორ ჯემალ ლომსაძის ნათელ ხსოვნას

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯემალ ლომსაძე მეოცე საუკუნის 30-

იანელთა იმ უნიჭიერესი თაობის ღირსეული წარმომადგენელია, რომელმაც საშუალო სკოლის მედალზე დამთავრების შემდეგ მეტალურგის საპატიო პროფესია აირჩია და დღემდე „გეპის“ სახელით მოხსენიებულ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს მიაშურა უმაღლესი განათლების მისაღებად. სწორედ ამ ოქროს თაობამ შექმნა სწავლულ მეტალურგთა ის ცნობილი ქართული საინჟინრო-სამეცნიერო სკოლა, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა ქვეყანაში მეტალურგიული მრეწველობის აღმშენებლობასა და მისი საკადრო თუ სამეცნიერო პოტენციალის განვითარებაზე და ღირსეულად გაართვა კიდევ თავი ამ საპატიო მისიას.

ინსტიტუტის დამთავრების დღიდან სიცოცხლის ბოლომდე ბატონმა ჯემალმა პროფესორის რანგში უწყვეტად იღვანა მშობლიურ მეტალურგიულ ფაკულტეტზე, სადაც 25 წელი იყო დეკანი და ათასობით ღირსეული ახალგაზრდა მეტალურგი აღზარდა ქვეყანას. ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ის პირთვინულად და ნაყოფიერად ემსახურა განათლებასა და მეცნიერებას. მან მიღწევისა და განივი ჭედვის თეორიის, ტექნოლოგიისა და მანქანების შესწავლის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მეცნიერებასა და ტექნიკაში. დეკანობრივად ლითონის რღვევის პროცესის ექსპერიმენტულ-თეორიული კვლევების საფუძველზე ჯ. ლომსაძემ მეცნიერულად დაასაბუთა ორი ცნობილი ურთიერთსაინააღმდეგო თეორიის სისწორე და „შეარჩია“ ისინი, დაადგინა რა ორივე მათგანის ჭეშმარიტება შესაბამის პირობებში. ის ოცამდე გამოკვლევების (მათ შორის საწარმოში დანერგვის), მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და სახელმძღვანელოს ავტორია ლითონების წნევით დამუშავებაში.

მშობლიურმა უნივერსიტეტმა დაუფასა კიდევ ამაგი და საკუთარი უმაღლესი ჯილდოთი - გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედალითა და ემერტუსი პროფესორის მაღალი სტატუსით დააჯილდოვა იგი. მთავარი ჯილდო კი ის დიდი სიყვარულია, რითაც ის სარგებლობდა ჩვენი უნივერსიტეტის ყველა თაობის თანამშრომელთა და კურსდამთავრებულთა შორის, მიუხედავად მათი ასაკისა. დღესაც ყველა მაღლიერებით იხსენებს იმ წლებს, როდესაც მათ, როგორც კოლეგასა თუ სტუდენტს, შქონდათ ბედნიერება ურთიერთობისა ბატონ ჯემალთან, როგორც დეკანთან და საყვარელ ლექტორთან, რომელიც ყველა მათგანის გულშემამტკივარი, მესაიდუმლე და შემწე იყო მუდამ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის სამოქალაქო აქტივობა, რაც ჯ. ლომსაძის, როგორც საქართველოს ერთგული შვილის, პატრიოტულ მოღვაწეობას უკავშირდება, როდესაც ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული ახალგაზრდების ჯგუფი, მისი ქმედითი ხელშეწყობით, მკაცრ და უღობიველ საბჭოთა პერიოდში ისტორიული ძეგლებისა და ეკლესია-მონასტრების რესტავრაციაში და ქართული სკოლების აღდგენაში მონაწილეობდა (სოფელ წერაქვასა და სოფელ ტანძიაში). ასევე მნიშვნელოვანია მისი პუბლიცისტიკა მიძღვნილი სამაჩაბლოში განვითარებულ მოვლენებისადმი, როდესაც ეს ძირძველი ქართული მიწა, აფხაზეთის მსგავსად, იქნა ოკუპირებული. ეს ფაქტი სიცოცხლის ბოლომდე დიდი სულიერი სატკივარი და მოუშუშებელი იარა იყო მისთვის, - ჯემალი ხომ პატარა და მყუდრო პროვინციულ ქართულ ქალაქ ცხინვალში იყო დაბადებული, საკუთარ დედუღეთში (07.09.1930 წ.).

ჯ. ლომსაძემ ოთხი ღირსეული ვაჟი აღზარდა სამშობლოს, რომლებიც დღეს სრულიად სხვადასხვა პროფესიის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: მიხეილი ი. ბოჭორი შვილის სახ. სეფისის საინჟინრო-სამეცნიერო კლნიკის ცნობილი ექიმი-ინფექციონისტი, მამის კვალს გაყოლილი ზურაბი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს პროფესორია და ამჟამად ი. ჟორდანის სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრს ხელმძღვანელობს, დავითი ტელეკომპანია „იმედის“ რეჟისორია, რომანი კი საზღვარგარეთ წარმატებით მოღვაწე დიზაინერი გახლავთ.

ჯემალ ლომსაძემ 91 წელი იცხოვრა სავსე სიცოცხლით, პირნათლად მოინადა ვალი საკუთარი ერის, მშობლიური უნივერსიტეტისა და ოჯახის წინაშე და ა.წ. 23 მარტს ვალმოხდელი გავიდა ზეციურ საქართველოში. მისი სახელი სამუდამოდ ჩაინერა საუკუნოვანი ისტორიის მქონე ჩვენი უნივერსიტეტის ოქროს მატრიანში და დარჩება ამქვეყნად, ვიდრე მის მიერ აღზრდილი ათასობით ადამიანის გულში იცოცხლებს მისი ნათელი ხსოვნა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

ქიმიის ბრძოლა უკრაინელებს მოიგას...

ვლადიმერ პუტინი დასაწყისიდანვე იყო დარწმუნებული, რომ უკრაინას არ აქვს უფლება, იყოს სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო. აღნიშნულს შესახებ ენტონი ბლინკენმა აშშ-ის სენატის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ენტონი ბლინკენის განცხადებით, დღემდე არ ჩანს რაიმე ნიშანი, რომ პრეზიდენტი პუტინი სერიოზულად ეკიდება კონსტრუქციულ მოლაპარაკებებს. მისივე თქმით, ჯერ კიდევ უკრაინაზე თავდასხმამდე გამართული მოლაპარაკებების დროს ნათელი გახდა, რომ უკრაინის ნატოში გაწევრებაზე პუტინის ჩივილი, მხოლოდ საბაბი იყო.

„ჩვენ გვინდოდა ჩაგვეერთო ისინი სერიოზულ დისკუსიაში ამ საკითხებთან დაკავშირებით. თავად პრეზიდენტი პუტინის სიტყვებიდან სრულიად ნათელი იყო, რომ არასდროს ყოფილა საუბარი უკრაინის ნატოში პოტენციურ შესვლაზე. ის თავიდანვე დარწმუნებული იყო, რომ უკრაინას არ აქვს უფლება, იყოს სუვერენული, დამოუკიდებელი ქვეყანა“, - განაცხადა ბლინკენმა.

სახელმწიფო მდივნის თქმით, ომის დიპლომატიური გზებით დასრულების მიმართულებით აშშ-ის მიზანია დარწმუნდეს, რომ უკრაინას აქვს ყველა შესაძლებლობა, რათა უკუაგდოს რუსეთის აგრესია და გაიმყაროს საკუთარი პოზიციები მოლაპარაკებების მაგიდასთან. ამასთან, ბლინკენმა განაცხადა, რომ აშშ ამჩქარებს უკრაინისთვის სამხედრო დახმარების მიწოდებას და ასევე ეს პროცესი მოიცავს 72 საათს, მას შემდეგ, რაც უკრაინა დახმარებას მოითხოვს. სახელმწიფო მდივანმა ასევე აღნიშნა, რომ უკრაინელებმა მამაცი ბრძოლი შეძლეს კიევისთვის ბრძოლის მოგება.

„ტერიტორია, რომლის დაკავებასაც ორი თვის წინ რუსეთის მთავრობა თვლიდა, რომ რამდენიმე კვირაში შეძლებდა, დღეს სრულიად ეკუთვნის უკრაინას. კიევში ჩვენ ვნახეთ ქალაქის გამოცოცხლების ნიშნები: ხალხი ქუჩაში მიერთვედა, ისხდნენ სკამებზე, სეირნობდნენ. ჩვენ ჩვენი თავა-

ლით ვნახეთ, რომ კიევისთვის ბრძოლა უკრაინელებმა მოიგეს“, - განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა.

მსოფლიოში ფასები რეკორდულად გაიზარდა

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, უკრაინაში ომის გამო, მსოფლიოში ფასები რეკორდულად გაიზარდა. როგორც ტელეკომპანია „ბიბისისთან“ საუბარში მსოფლიო ბანკის ახალი ანგარიშის ერთ-ერთმა ავტორმა განაცხადა, ფასების ზრდა გამოიწვევს ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს.

მისივე თქმით, აღნიშნულ კრიზისს მთელ მსოფლიოში ოჯახების უმრავლესობა საკუთარ თავზე იგრძნობს.

„ჩვენ განსაკუთრებით გვაღელვებს ღარიბი ოჯახების ბედი, რადგან ისინი საკვებასა და ენერჯიაზე შემოსავლის უმეტესობას ხარჯავენ“, - განაცხადა მსოფლიო ბანკში.

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, ენერგორესურსებზე ფასები 50%-ით გაიზარდება. ყველაზე მეტად გაიზარდება ბუნებრივი აირი ევროპაში. ამავე ანგარიშში ნათქვამია, რომ ფასები 2024 წელს უნდა შემცირდეს, თუმცა გასულ წლებთან შედარებით ენერგორესურსების ფასი მაინც 15%-ით მეტი იქნება.

ამავე ანგარიშის ავტორების თქმით, ასევე გაიზარდება ნავთობის ფასიც და 2024 წლამდე ერთი ბარელი შავი ოქროს ღირებულება საშუალოდ 100 დოლარი იქნება. ეს კი მსოფლიო ბანკის ვარაუდით ინფლაციას გაზრდის. ფასების ზრდა მოსალოდნელია საკვებ პროდუქტებზეც. ანგარიშის მიხედვით, უკვე დღეს სურსათის ფასები ბოლო 60 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი ნიშნულზეა.

ხორბლის ფასი 42,7%-ით მოიმატებს და ამ პროდუქტის ღირებულება რეკორდული იქნება. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდება ქერის, ზეთის, სოიოს და ქათმის ფასი. ამ ცვლილებას უკრაინიდან და რუსეთიდან ექსპორტის შემცირება განაპირობებს. გაძვირდება სასუქები, ლითონი და მინერალები.

რედაქციის ბოდიში

ჩვენი მკითხველის ნინა ნომერში გამოქვეყნებულ ნეკროლოგში („თვალსაჩინო მშენებელი“ - ნოდარ მამარიაშვილის ხსოვნას), ხელმოწერა გვარებში გაიპარა დასაბამი უზუსტობა, რის გამოც ბოდიშს ვუხდით ადრესატებს და ხელმოწერა გთავაზობთ ბატონი ნოდარ მამარიაშვილის ნეკროლოგზე ხელმოწერა სიას:

საპარტიველო მშენებელთა ფედერაცია, საბაძციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“.

მეგობრებისა და კოლეგების სახელით: მირაზ ნიკოლაიშვილი, ილია ქაჭვიშვილი, თეიმურაზ ჯანაშია, ბორის სალარიძე, ომარ კიკნაძე, ნოდარ თოფურია, მალხაზ ჰადიაშვილი, თამაზ შილაკაძე, იუზა თოფურია, ვაჟა ნადირაშვილი, გიორგი ბარაძე, დავით დოლონაძე, ომარ კიკნაძე, ანზორ ჩოგოვაძე, გუგა ჟონიანიძე.



ქართული კარიკატურის ხელშეწყობა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი „ქართული კარიკატურის ხელშეწყობა“.

სამინისტროში აღნიშნავენ, რომ 2021 წელს ამავე კონკურსის ბიუჯეტი შეადგენდა 10 000 ლარს და მის ფარგლებში დაფინანსდა პროექტი „შალვა ქიქოძის სახელობის ქართული კარიკატურის ფესტივალი“.

ახალი კონკურსის პირობების თანახმად, კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

- ა) რომლის კონცეფცია გამოირჩევა ორიგინალური ხედვითა და აქტუალურობით;
ბ) რომელიც ითვალისწინებს პარტიზორების ფინანსურ ან სხვა ტიპის თანამონაწილეობას.

მწერლობის პოპულარიზაციისთვის

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი „ახალი ქართული წიგნი – მწერლების ხელშეწყობა“.

უნეცების ცნობით, კონკურსისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი შეადგენს 60 000 ლარს და მისი მიზანია ქვეყანაში ლიტერატურული პროცესების განვითარება, ქართული ავტორების პოპულარიზაცია და ახალი, ნიჭიერი ავტორების აღმოჩენა.

„აღსანიშნავია, რომ 2021 წელს მოცემული კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 23 პროექტი (გამოიცა 23 წიგნი), თუმცა, გასულ წელს, კონკურსში მონაწილეობა მხოლოდ გამომცემლებს შეეძლოთ. წელს კი კონკურსის არეალი გაფართოვდა და მასში, გამომცემლების გარდა, ფიზიკურ პირებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება.“

უპირატესობა შესაძლოა, მიენიჭოს იმ პროექტს-პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებენ სალიტერატურო სფეროში მოღვაწე ავტორთა საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით წიგნის გამოცემას, მათი შემოქმედების წარმოჩენა-პოპულარიზაციის მიზნით, - ნათქვამია კულტურის სამინისტროს ინფორმაციაში.



ალეოაჩინუს ქანაანური ღმერთის უძველესი ქანდაკება

ღაზას სმტორში სილამაზის, სიყვარულისა და ომის უძველესი ქალღმერთის ქვის ქანდაკება აღმოაჩინეს.

ლი არქეოლოგები ამბობენ, რომ ქანაანური ღმერთების, ანატის თავი 4500 წლის წინ, გვიან ბრინჯაოს ხანაშია დამზადებული.

ნამუშევარი ხან-იუნისის დასახლებაში მცხოვრებმა ფერმერმა მაშინ აღმოაჩინა, როცა მისას ამუშავებდა. ქალღმერთის თავის გამოსახულების სიმაღლე 22 სანტიმეტრია.

ევროკავშირის ლიტერატურული პრემია პრემია კიდე ერთმა ქართველმა მწერალმა დაიმსახურა. ივა ფეხუაშვილი ახალგაზრდა ქართველი ავტორია, მისმა რეგით მეორე რომანმა „ბუნკერი“ ეს საამაყო ჯილდო მოიპოვა.

ევროკავშირის ყოველწლიური სალიტერატურო პრემია 2009 წელს დაარსდა და იგი ევროპის საუკეთესო დამწყებ მწერლებს აჯილდოებს. ამავე დროს, საზეიმოდ აღნიშნავს ენობრივ მრავალფეროვნებას და ლიტერატურულ მიღწევებს „შემოქმედებითი ევროპის“ პროგრამის მონაწილე ქვეყნებში.

31 წლის ავტორისთვის ეს პირველი წარმატება არ ყოფილა. 2020 წელს რომანი-სათვის „ბუნკერი“ დაჯილდოვდა წინანდლის პრემიით. ამავე წიგნისთვის ავტორს 2021 წელს გადაეცა „საბასა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სპეციალური პრემია: საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიის რეფლექსია ქართულ ლიტერატურაში.



ბუნკერი ივა ფეხუაშვილი

მისი მოთხრობა „ცა“ შესულია ბრიტანულ და გერმანულ ანთოლოგიებში. ივა ფეხუაშვილის გარდა, ჟიურში 5 საპატიო ჯილდოც გადასცა ბელგიელ, ბოსნიელ, ირლანდიელ, ესპანელ და უკრაინელ ავტორებს.

აღსანიშნავია, რომ სხვა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად მხოლოდ ერთი გამარჯვებული დასახელდა, ნაცვლად ყოველი მონაწილე ქვეყნიდან ლაურეატის გამოვლენისა. მანამდე, 2019 წელს, ამავე პრემიის მფლობელი კიდე ერთი ახალგაზრდა ქართველი ავტორი ბექა ადამაშვილი, გახდა წიგნისთვის „ამ რომანში ყველა კვდება“. 2022 წელს ევროკავშირის ლიტერატურულ პრემიაზე 14 ქვეყნის 14 ავტორი იყო წარდგენილი. ღონისძიების დასკვნითი ნაწილი პარიზის წიგნის ბაზრობაზე გაიმართა, გამარჯვებულის ვინაობა კი წიგნის საერთაშორისო დღემდე ცოტა ხნით ადრე გახდა ცნობილი.

ქართული ბრენდი GEPHERRINI ჩინეთის ბაზარზე გაიყიდება

GEPHERRINI არის ქართული ცხოვრების სტილის ბრენდი, რომელიც ილია გეფერინი და მისმა მეუღლემ სოფია ხოსიტაშვილმა შექმნეს. მათ მოკრძალებულად დაინყეს ეს ბიზნესი, დღეს კი ის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ბრენდია საქართველოში და ნელ-ნელა მსოფლიოსაც იპყრობს.

GEPHERRINI წარმოდგენილია 11 ქვეყანაში, 44 გაყიდვის წერტილით. საექსპორტო ქვეყნებია: აშშ, ქუვეითი, ჰონგ-კონგი, სინგაპური, შვეიცარია, საფრანგეთი, შვედეთი, რუსეთი, ყაზახეთი, უკრაინა და აზერბაიჯანი.



ბრენდი 2014 წელს შეიქმნა და თავიდან ქალის ხელჩანთების წარმოება დაიწყო, ახლა კი უკვე მსოფლიოს ბაზარს სხვადასხვა ქართული პროდუქციით იპყრობს. ჩანთები, საფულეები, ფეხსაცმელები, ქაშრები და აქსესუარები, როგორც ქალების ისევე მამაკაცებისთვის. გეფერინის მორიგი წარმატება ჩინეთის ორ უმსხვილეს პლატფორმაზე გასვლაა. ორ კვირაში, მათი პროდუქცია „Taobao“ და „Tmall“ განთავსდება. სამწლიანი მოლაპარაკების პროცესი წარმატებს დასრულდა. „გეფერინის“ სანყობი ჰონგ-კონგში გაიხსნება, საიდანაც მოხდება პროდუქტის მიწოდება. საქართველოში ბრენდს 4 მაღაზია აქვს, ერთი ბათუმში და სამი თბილისში. თითოეული ქართული ბრენდის ასეთი წინსვლა, ჩვენი ქვეყნისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

მომზადა რუსუდან ძოგულიან

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აბრძოლებს მუშაობას მისამართზე- თევზლორა მღვდლის, 13 ა, VII სართული. ტელ. 224 00 99; 224 00 98. მათე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებაში. გისურვებთ ჯანმრთელობას!

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA
თავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია
მთავარი რედაქტორები: გურამ გომიანიძე, ალექო ასლანიშვილი
გამომცემელი: ჯ. პალაძე

გაზეთის მომწოდებელი ნომერი გამოვა ორგანოს, 2 მაისს

Table with contact information for various departments: უსტორი ვალუტის ქარსი, ანილი 29 აპრილისთვის, დაგვირეკეთ, მოგვწერეთ.